

ავტორი

კლარა ბარათაშვილი - ჟურნალისტი, მესხი. მისი მამა - ლატიფმა ბარათაშვილი იყო მაჰმადიანი მესხების ლიდერი სამშობლოში დაბრუნებისათვის ბრძოლაში. კლარა ბარათაშვილი დაიბადა უზბეკეთში, უმაღლესი განათლება მიიღო ქ. ლენინგრადში. 1989 წ. დაბრუნდა სამშობლოში. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. მუშაობს დეპორტირებული მესხების პრობლემებზე. აქვეყნებს პუბლიკაციებს პრესაში, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაში. არის ადამიანის უფლებების დასაცავად არასამთავრობო ორგანიზაციათა მოძრაობის აქტიური მონაწილე

ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდი კონფერენციების, სემინარების, ექსპერტთა გაცვლების, ტელეპროგრამებისა და სპეციალისტთა მომზადების მეშვეობით ისწრაფვის შეიტანოს წვლილი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს დსმ-ს ქვეყნების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტასა და დასავლეთის უკეთ ინფორმირებას დსმ-ს ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- პარტიათა თანამშრომლობა და დემოკრატიზაცია
- ეთნიკურ უმცირესობათა დაცვა
- ეკონომიკური რეფორმები
- სოციალური პოლიტიკა
- გარემოს დაცვა
- პროფკავშირების ურთიერთთანამშრომლობა
- უშიშროების პოლიტიკა
- ქალთა მოძრაობის მხარდაჭერა
- მართვის რეფორმა

ფრიდრიხ ებერტის ფონდი წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას გერმანიაში. მისი წარმომადგენლობა 80-ზე მეტ ქვეყანაშია. ყოფილ საბჭოთა კავშირში ფონდმა მოღვაწეობა დაიწყო 80-იანი წლების ბოლოს.

**FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG**

ფრიდრიხ ებერტის
სახელობის ფონდი

წარმომადგენლობა
საქართველოში

**FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG**

კლარა ბარათაშვილი

**მაჰმადიანი მესხების
ქართული გზარეული**

ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდი

კლარა ბარათაშვილი

მაკაღიანი მისეზის ქართული გვარები

თბილისი
1997

ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენელს ქ-ნ ია თიკანაძეს პროექტის დაფინანსებაში დახმარებისათვის

ავტორი - კლარა ბარათაშვილი

რედაქტორი - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გურამ მამულია ქართულ ენაზე თარგმნა ალექსანდრა თევსაძემ

- პროექტი შესრულებულია არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ლატიფშა ბარათაშვილის ფონდი" (დირექტორი - კლარა ბარათაშვილი) ერთად უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის ცენტრის "კავკასიური სახლი" დეპორტირებულ მესხთა პრობლემების შესწავლის პროგრამის ფარგლებში

- პუბლიკაციაში ასახულია ავტორის მოსაზრებანი

© ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, 1997

1944 წ. სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანების ძირითადი ნაწილი მესხეთის მკვიდრი მოსახლეობა იყო, ტომით ქართველები (მესხები). დენაციონალიზაციის პოლიტიკამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ტარდებოდა მესხეთის ტერიტორიაზე ჯერ თურქეთის ექსპანსიის შედეგად, ხოლო შემდეგ ცარისტული რუსეთისა და ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მიერ, გამოიწვია გამაჰმადიანებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების კვლევა. ეროვნებასთან ერთად მესხებს უკარგავდნენ თავიანთ ისტორიულ გვარებს, ხოლო 1944 წ. დაახლოებით 90 000 მესხი "თურქის" იარლიყით შუა აზიის რესპუბლიკებში გადასახლეს, სადაც ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უფლებასა და თავისუფლებას.

ამჟამად იწყება მესხთა რეპატრაცია საქართველოში. სამშობლოში ცხოვრების უფლების აღდგენასთან ერთად მესხებს სურთ აღიდგინონ თავიანთი ისტორიული ქართული გვარები და ეროვნება. ამ საქმეში მათ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს წინამდებარე გამოკვლევა, რომელშიც ისტორიულ დოკუმენტებზე, საარქივო მონაცემებზე და ცოცხალი მოწმეების ინფორმაციაზე დაყრდნობით გადადგმულია პირველი ნაბიჯები მაჰმადიანი მესხების ქართული ანთროპონიმიკის შესასწავლად.

ავტორმა, ჟურნალისტმა კლარა ბარათაშვილმა დიდი შრომა დახარჯა იმისათვის, რომ მაჰმადიანი მესხების ანთროპონიმიკაში ქართული შრე გამოეკვინა. აღსანიშნავია, რომ თვითონ კლარა ბარათაშვილი წარმოშობით მესხია, დეპორტირებული მესხების სამშობლოში დაბრუნებისათვის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ლატიფშა ბარათაშვილის ქალიშვილი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის (ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) მოსახლეობის აღწერა XIX საუკუნის განმავლობაში, დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ ე.წ. "თურქი-მესხები" წარმოადგენენ ეთნიკურ ქართველებს მესხთა ტომიდან, რომელთა ქართული გვარები ამ დოკუმენტებშია შემონახული.

ავტორმა გამოკვლევას თან დაურთო საუბრები თანამემამულეებთან. ამით უფრო საინტერესო გახადა თავისი ნაშრომი. გასახლებულთა გულწრფელი, უშუალო მონათხრობები წარმოადგენს ხალხის ცოცხალ მესხიერებას, რომელშიც ინახება ძვირფასი ინფორმაცია მათი ეთნოგენეზის შესახებ.

გურამ მამულია

წინასიტყვაობა

ერთი ამბავი მინდა გაიგებოთ. 1994 წ. აპრილში თბილისში ჩამოვიდა და სახლში მეწვია მაჰმადიანი მესხი - მაფიზ უსმანოვი. იგი აღელვებული ჩანდა. "გავიგე, თქვენ იკვლევთ საარქივო მასალებს ჩვენი ხალხის შესახებ"- თქვა მან. "დიახ, თქვენ საიდან იცით?" პასუხად იგი მოყვა თავის თავგადასავალს - ერთს მრავალთაგანს ჩემი თანამემამულეების ისტორიიდან. დაიბადა უზბეკეთში. დაამთავრა ინსტიტუტი. იქვე დაიწყო მუშაობა. შემდეგ ფერგანის დარბევა, სასწრაფოდ აყრა დამკვიდრებული ადგილიდან და ახალი თავშესაფრის ძებნა. მოხვდა აზერბაიჯანში, ქ. მინგეჩაურში, სადაც ჩემი და ცხოვრობს. სწორედ მისგან გაიგო ჩემი საარქივო საქმიანობის შესახებ. მისი აღელვების მიზეზი საარქივო მონაცემები იყო.

- ვინ ვართ სინამდვილეში? - კითხულობდა ის. - ჩვენ ზომ, როგორც თურქები, ისე გაგვასახლეს. შემდეგშიც, აღწერების დროს, ასევე თურქებად გვწერდნენ. ჩვენ მაჰმადიანები ვართ, ვლადპარაკობთ თურქულად, არ გვაქვს ქართული გვარები. ახლა კი გავიგე, ქართველებად გვთვლიან. სად არის ამის დამამტკიცებელი საბუთები?

მე მას ვუთხარი, რომ, არავინ აპირებს თავს მოახვიოს მას სხვა ეროვნება. ის დრო წავიდა. მაგრამ, თუკი სურვილი ექნებოდა, შეიძლებოდა ჩაგვეხედა 1886 წ. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების აღწერების ტომებში. იქნებ იქ წავწყდომოდით რაიმე ცნობას მისი წინაპრების შესახებ.

ამ აღწერებზე მუშაობა ახალდამთავრებული მქონდა. ხელით გადავწერე 180 სოფლის იმ მაჰმადიანი მესხების ოჯახების სია, რომლებიც ქართულ გვარებს ატარებდნენ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთი შეხედვით მოსაწყენი საბუთი ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

ამასობაში მაფიზი დამშვიდდა, ამოიღო ჩანთიდან გრძელი ნუსხა თავისი წინაპრების სახელებისა. ნუსხის თავში ეწერა მისი პაპის პაპა ოსმანი, დაახლ. 1860 წ. დაბადებული.

- ოსმანს ორი ძმა ჰყავდა - თქვა მაფიზმა - ერთს ბიურგანი ერქვა, რაც შეეხება მეორეს - მისი სახელი არავის ახსოვს. იგი მეფის დროს ქ. ჩიტაში გადაასახლეს. ბებია ყვებოდა, როგორ ჩააკითხეს ახლობლებმა გადასახლებაში. მაგრამ ძმა აღარ დაბრუნებულა უკან და იქ, ჩიტაში გარდაცვლილა.

გადავშალეთ საარქივო სიები. მოვნახეთ სოფ. არზნე ადიგენის რაიონში საარქივო ნომრით 1836. ეს პატარა სოფელი 1888 წ. 14 ოჯახისაგან (კომლისგან) შედგებოდა. №5 კომლად ჩაწერილნი არიან: ოჯახის უფროსი ოსმან აზიზ ოღლი შაგანიძე, დაბადებული 1862 წ., მაჰმადიანი-სუნიტი, ეროვნება - ქართველი", ქვემოთ ჩაწერილია: "ძმა ბიურგანი, 20 წლის, მეორე ძმა შარიფი, 30 წლის

სამუდამო გადასახლებაშია ციმბირში".

გოცების შეძახილი აღმოგვხდა ორივეს, ყველაფერი დაემთხვა: ოჯახის თავის სახელი, ერთი ძმის სახელი, ზოლო. მეორეს, ციმბირში გადასახლებულ ძმას, რომლის სახელიც შთამომავლობამ ვერ შემოინახა, თურმე შარიფი რქმევია. უფრო მეტიც - მათ ქართული გვარი ჰქონიათ და იწერებოდნენ ქართველებად. სასწაულია!..

ეს იყო ნამდვილი სიურპრიზი, განპირობებული თაობათა შეხვედრით, ისტორიული სიმართლით.

- ეი., ჩვენ მართლა ქართველები ვართ? - მეკითხებოდა დაბნეული მაფიზი, თან ჩაკირკიტებდა წინაპართა სახელებს და ძლივს იკავებდა ცრემლებს.

მე თვითონაც მთელი არსებით ვიყავი შეძრული. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თვალნათლივ დავინახე ჩემი შრომის შედეგი. თურმე ტყუილად არ ეძვდარვარ არქივის გაყინულ დარბაზებში, ტყუილად არ ვიწერდი გრძელ სიებს... თავდაპირველად ზომ ისე, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის შეეუდექი საარქივო ძიებებს. ეხლა კი აღმოჩნდა, რომ ეს შრომა მხოლოდ ჩემთვის არ ყოფილა დახარჯული.

მე ცხადად ვხედავდი, როგორ მოცურავდნენ საუკუნეების სიღრმეებიდან, გარდასული ეპოქებიდან ადამიანთა ცოცხალი სახეები. ისინი მანიშნებდნენ: ეს ჩვენ ვართ, თქვენი წინაპრები, ნუ დაგვივიწყებთ, ჩვენ თქვენი ფესვები ვართ.

ზემოთ აღწერილმა ამბავმა დამარწმუნა, რომ დაწყებული საქმე უნდა გამეგრძელებინა, რადგანაც ეს სჭირდება ჩემს თანამემამულეებს, რომ კარგად გაიცნობიერონ თავისი წარმომავლობა, ისტორიული სინამდვილე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ისინი დაუბრუნდნენ მშობლიურ კულტურას.

მოკლე ისტორიული ცნობები

მესხები - ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია. XVII საუკუნემდე ისინი, ისევე, როგორც დანარჩენი ქართველობა, მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. XVI საუკუნეში, ისარგებლა რა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დასუსტებით, თურქეთმა მიიტაცა მესხეთი და დაარქვა მას "გურჯისტანის ვილაიეთი", სხვანაირად "ახალციხის საფაშო". 1578 წლიდან ორნახევარი საუკუნის განმავლობაში მესხები თურქეთის უღელქვეშ იმყოფებოდნენ.

თურქები მესხებს "გურჯი ოღლის" ("ქართველის შვილი") უწოდებდნენ (სხვათა შორის, ეს მეტსახელი შემონახული იყო გვიანობამდე. ასპინძის რ-ის სოფ. ზემო ოშორაში 1839 და 1842 წლების აღწერებში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი ალი გურჯი ოღლი, ხოლო სოფ. აბის მხენელ-მთესველთა შორის 1847 წ. ირიცხება ისმაილ გურჯინ-ოღლი).

დაპყრობილ ტერიტორიებზე თურქები ატარებდნენ პოლიტიკას, რომლის მიხედვით მიწაზე საკუთრების უფლება ჰქონდა მხოლოდ სამხედრო ვალდებულს, რომელიც, თავის მხრივ მხოლოდ მაჰმადიანი შეიძლებოდა ყოფილიყო. მოსახლეობა იძულებული ხდებოდა, მაჰმადიანობა მიეღო. ამავე პერიოდში ვატიკანის მისიონერები თურქეთის ხელისუფალთა ნებართვით მესხეთის მოსახლეობის ნაწილს კათოლიკებად ნათლავდნენ. ისლამიზაციის შედეგად მესხები ივიწყებდნენ ქართულ ენას, რადგანაც სავალდებულო სალაპარაკო ენად თურქული ითვლებოდა. ქრისტიანული კულტურა თანდათანობით ადგილს უთმობდა მაჰმადიანურს. მესხებს აეკრძალათ ყურძნის მოვლა, რადგანაც ყურძნისაგან ღვინოს ამზადებდნენ. ყურანი კი ღვინის სმას კრძალავდა.

მხოლოდ 1829 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი უერთდება რუსეთის იმპერიას. 1870 წ. გამოცემული "თბილისის გუბერნიის აღწერების კრებულში" მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩაწერილია, როგორც "ქართველი-სუნიტი". მათ გარდა მესხეთის ტერიტორიაზე მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ მომთაბარე ტომები - "თარაქამა" და ქურთები.

XX ს. დასაწყისში, ატარებდა რა ქართველი ხალხის გათიშვის პოლიტიკას, მეფის ხელისუფლებამ მესხეთში თურქული სკოლები გახსნა. ამ დროისათვის მაჰმადიანი მესხები თავს აღარ თვლიდნენ ქართველებად, იმიტომ რომ "ქართველი" მათთვის გაიგივებული იყო "ქრისტიანთან". ადგილობრივ კათოლიკეებს უწოდებდნენ "ფერენგს" ("ფრანგი", რადგანაც მათ კათოლიკობა ფრანგებისაგან მიიღეს). მაჰმადიანი მესხები თავს თურქებად კი არ თვლიდნენ, არამედ "იერლი მისლიმან"-ად ("ადგილობრივი, მკვიდრი მაჰმადიანი"), ამით ისინი ქურთებისა და თარაქამებისაგან განსხვავდებოდნენ. XIX-XX ს.ს. მიჯნაზე მაჰმადიან მესხებში

შეინიშნება ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება. ამ მხრივ დამახასიათებელია 1886 წ. "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების აღწერა". ამ დოკუმენტებში ადგილობრივი მოსახლეობის 60% "ქართული ეროვნების მაჰმადიან-სუნიტებად" იწერებიან და მათში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ქართული გვარი. აღსანიშნავია ასეთი ფაქტიც: ადიგენის რ-ის სოფ. უდეს კათოლიკურ ეკლესიაზე შემონახულია წარწერა იმის შესახებ, რომ მის მშენებლობაზე ქრისტიანებთან ერთად "ქართული ტომის მაჰმადიანებმაც" გაიღეს შემოწირულობა.

მაჰმადიანი მესხები ლაპარაკობენ თურქული ენის აღმოსავლეთ ანატოლიურ დიალექტზე, ოღონდაც ისეთი ბგერითი თავისებურებით, რომელიც მხოლოდ ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი. უფრო მეტიც - ამ ენაში მოიპოვება ქართული სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიის ფართო შრე.

ყველაზე დიდი ზიანი მესხთა ქართულ ცნობიერებას საბჭოთა ხელისუფლებამ მიაყენა. ჯერ იყო და ისინი, ეთნიკურად ქართველები, 1923 წ. ჩაწერეს "აზერბაიჯანლებად", მასობრივად გადაუქეთეს ქართული გვარები აზერბაიჯანულად და მესხეთი გადააქციეს აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად (რადგანაც საბჭოთა კავშირის თავისი ინტერესები ახლო აღმოსავლეთში აიძულებდა ბევრი რამ დაეთმო თურქეთისათვის).

შემდეგ, 1944 წ. "თურქის" იარლიყით მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობა გაასახლეს საქართველოდან. დეპორტირებული მესხები 12 წლის განმავლობაში კომენდანტის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდნენ შუაზიის რესპუბლიკებში და მხოლოდ 1956 წ. მოეხსნათ ეს შეზღუდვა. ამ დროიდან მათ ნება ეძლეოდათ დასახლებულიყვნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნებისმიერ ადგილას, გარდა საქართველოსი.

1989 წ. ფერგანის დაბლობზე, სადაც კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებული მესხები, მოხდა მათი სისხლიანი დარბევა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, რის შედეგადაც მესხებმა მასიურად დატოვეს უზბეკეთი.

დღეისათვის საქართველოს მთავრობა, მისი საზოგადოებრიობა დგამს ნაბიჯებს დეპორტირებულ მესხთა უფლებების აღდგენისათვის - მზადდება საკანონმდებლო აქტი დეპორტაციის ფაქტის დაგმობის შესახებ, მიმდინარეობს მზადება მესხთა რეპატრაციის დაწყებისათვის.

ამჟამად საქართველოში ცხოვრობს არაუმეტეს 300 რეპატრირებული მესხისა, რომლებიც სამშობლოში სხვადასხვა დროს დაბრუნდნენ.

აღწერებისა და სხვა წყაროების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში რამდენიმე თვე დაყვავი

ლუპით ხელში - ვსწავლობდი საოცარ დოკუმენტებს.

ეს დოკუმენტებია "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიები" (რუსულ ენაზე). დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთვის, მაჰმადიანი მესხებისთვის, აკრძალული იყო ამ დოკუმენტებთან მისვლა. ამიტომაც იყო ძნელი მესხებისთვის საკუთარ ვინაობაში გარკვევა. ბევრმა მათგანმა დროთა განმავლობაში დაკარგა ქართული გვარი და არ იცოდა როგორ მოეძებნა და აღედგინა ის. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უარყოფდნენ როგორც ქართულ წარმომავლობას, ისე იმ ფაქტს, რომ თავიანთ წინაპრებს ქართული გვარები ჰქონდათ.

დოკუმენტებზე მუშაობისას შემოვიფარგლე კონკრეტული ამოცანით - გამოძველინა მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები. დღეს ყველას შეუძლია მოძებნოს ამ სიებში თავისი წინაპარი. ვინც იცის მშობლიური სოფლის სახელწოდება, პაპის, პაპისპაპისა და ა.შ. სახელების მიხედვით ძნელი არ არის გვარის მონახვა.

ამ ნაშრომში აღნიშნული ტოპონიმები, გვარები, სახელები და მეტსახელები ზუსტად შეესაბამება საარქივო დოკუმენტების ჩანაწერებს. დღეს ზოგიერთი მათგანი შეცვლილია.

უნდა შევნიშნო, რომ მაჰმადიანი მესხების დენაციონალიზაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და 1886 წლისათვის მათ ნაწილს უკვე დაკარგული ჰქონდა ქართული გვარები, რაც აღწერებშიც დადასტურდა.

აღწერის დროს მაჰმადიანი მესხები ეროვნების მიხედვით ეწერებოდნენ ან "ქართველებად", ან "თათრებად", მაგრამ არსად შემხვედრია ეროვნება "თურქი". რაც შეეხება "თათარს", იგი გამოძახილია საქართველოში არსებული ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებელს ზოგადად "თათარს" უწოდებენ. ამაზე მიუთითებს სიტყვა "გათათრდა" - რაც გამაჰმადიანებას ნიშნავს. ე.ი. სიტყვა "თათარი" ადგილობრივი მოსახლეობისათვის იყო არა ეროვნების, არამედ რელიგიის მაჩვენებელი.

სიებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი სოფლის (აგარა, ზიკილია, ტატანისი, ფერსა, ორფოლა, შურდო და სხვ.) მოსახლეობას ქართული გვარები უკვე დაკარგული აქვთ, მაგრამ ეროვნების მიხედვით "ქართველებად" იწერებიან. ზოგ შემთხვევაში კი პირიქით ხდება - ქართული გვარები შერჩენილი აქვთ, მაგრამ ეროვნების მიხედვით "თათრებად" იწერებიან (მაგ. ღონიაშვილი, ჯაყოშვილი, ჩეჩელაშვილი სოფ. ყაშადან; დედობილაშვილი აბასთუშნიდან, ვეფხვაძე სოფ. აწყვიტადან და სხვ.).

აღწერებში კარგად ჩანს ქართული ენის გავრცელების თავისებურება მაჰმადიან მესხებში. ასე მაგალითად, ადიგენის რ-ნის სოფ. უდემი მაჰმადიანები, რომელთაც აქვთ ქართული გვარები (ადოლაშვილი, ბარათაშვილი, კიკნაძე,

პეტაშვილი და სხვ.) და თავს ქართველებად თვლიან, საოჯახო ენად მიუთითებენ ორზე - ქართულზე და თურქულზე.

ამის ახსნა შეიძლება. სოფ. უდემი შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა - იყვნენ მაჰმადიანებიც და ქართველებიც (კათოლიკები). ამასთანავე, ბევრი ქრისტიანი ნათესაურ კავშირში იყო მაჰმადიანებთან. ჯერ კიდევ ქრისტიანობის რღვევის პროცესში იყო შემთხვევები, როცა ერთი მძა კათოლიკე ხდებოდა, მეორე - მაჰმადიანი. ეს ფაქტი ფოლკლორშიც აისახა. აი, რას ამბობს სოფ. უდეს შესახებ "ახალციხის სოფლების სახობტო დასტანი":

Üde - kassab-hana, akar kanlar,
Ancak doksan tütün var mislimanlar,
Belke bundan artuk hıristiyanlar,
Onlar da kardaşdur biri birine.

უდემი სასაკლაოა, სადაც იღვრება სისხლი
მაჰმადიანთა 90 კომლია იქ,
ცოტა მეტი - ქრისტიანების,
ერთიც და მეორეც ძმებად ეკუთვნიან ერთმანეთს.
(თურქული ტექსტის ბჭკარედი)

რაც შეეხება სოფლებს შურდოს, ინდუსას, საყუნეთსა და სვირს, იქაც საოჯახო ენად ითვლებოდა ქართული და თურქული. ასე მაგალითად, სოფ. სვირში, 1886 წ. დადასტურებულია მხოლოდ ერთი ქართული გვარი - ზეთიაშვილი, მაგრამ მოსახლეობა თავს ქართველად თვლის და სახლში ქართულად ლაპარაკობს. საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი სოფ. ინდუსაში - სოფლის მაცხოვრებლებს ქართული გვარები აღარა აქვთ, იწერებიან თათრებად, სახლში სალაპარაკო ენა კი ქართული აქვთ. ასე, რომ ამ მხრივ ძალიან ჭრელი სურათი გვაქვს და იგი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

სიებიდან ჩანს, რომ მაჰმადიანი მესხების პრივილეგირებული ფენების (აღალარები, ბეგები) წარმომადგენელთა უმრავლესობას ქართული გვარები შენარჩუნებული ჰქონდათ - ერისთავი (ადიგენი), ამილახვარი (სოფ. ზაზალო), მანაბელი (სოფ. შალოშეთი), ყიფიანი (სოფ. აწყური), ავალიანი (სოფ. ჭარალი), ხერსეულიძე (სოფ. ცულო), სანიკიძე (სოფ. შოლავერი), თავსაც ქართველებად თვლიდნენ, მაშინ როცა ამავე სოფლების გლეხობას აღარც ქართველად მიაჩნდა თავი და ქართული გვარებიც დაკარგული ჰქონდა. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთის გლეხობა უფრო მტკიცედ იცავდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. საქმე იმაში იყო, რომ

წარჩინებულები ფლობდნენ დოკუმენტებს, რომლებშიც ასახული იყო მათი უფლებები მიწისა და სხვა საკუთრებაზე. ეს დოკუმენტები ინახავდნენ მათ გვარებს, რომლებიც ადასტურებდა მათი მფლობელის პრივილეგიურულ მდგომარეობასა და უფლებებს შეღავათებზე.

მაგალითად, ბეგი გიორგიწმინდაძეები 1837 წ. აღწერებში ჩაწერილები არიან, როგორც პრივილეგიურული ფენის წარმომადგენელი; ხოლო 1886 წ. როგორც მფლობელები საკუთარი მამულისა და წისქვილის სოფ. გიორგიწმინდაში ("ახალციხის 2% მოსაკრებლის გადამხდელთა ანბანური სიები"). ისინი ისევ ფიგურირებენ 1890 წ. "მიწათმფლობელთა სიებში".

ასევე, წლითი წლობით უძლიერდებოდა უფლებები ბეგ მამაბლებს სოფ. შალოშეთიდან: 1886 წ. - როგორც მიწის მფლობელები, 1890 წ. - ისინი "ახალციხის მაზრის მიწათმფლობელთა სიებში" არიან, ხოლო 1890 წ. ფლობენ მანუაქატურულ სავაჭროს, რომელიც წელიწადში 800 მან. ბრუნვის საშუალებას იძლეოდა.

იგივე შეიძლება ითქვას ერისთავებზე, ამილახვრებზე, ალა ყიფიანებზე და სხვ.

ჩემი აზრით, საკმაო გაუგებრობა შეიტანეს საერთო სურათში თვითონ აღმწერლებმა. ხელნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღწერაში მონაწილეობას იღებდა მეფის ჩინოვნიკთა მთელი ბრიგადა. სიების მიხედვით კარგად ჩანს საქმისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება. ზოგიერთი აღმწერი კეთილსინდისიერი იყო: თუ ოჯახის თავმა არ იცოდა თავისი გვარი, ისინი არკვევდნენ მის მეტსახელს და აკურატულად მიაწერდნენ ფრჩხილებში: "მეტსახელი ჩიკო", "მეტსახელი კაჭკაჭ", "მეტსახელი ყავაზ" და ა.შ. ეს შემონახული ძირები იმის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, რომ წარსულში ისინი წარმოადგენდნენ გვარებს - ჩიკოშვილი, კაჭკაჭიშვილი, ყავაზიშვილი და სხვ.

სხვები ღრმად არ იხედებოდნენ საქმის არსში, ჩანაწერებს ნაჩქარევად აკეთებდნენ და ვლახინდნენ (კითხვის დროს ძნელად გასარჩევია ასოები), უშვებდნენ აშკარა შეცდომებს. მაგალითად, ცხადია, რომ ღვიძლ ძმებს გვარები ერთნაირი ექნებოდათ. მიუხედავად ამისა ხშირად გვხვდება ასეთი ჩანაწერები: "შაქირ ეიბ ოლლი ალიმანძე" და "ხურმუდ ეიბ ოლლი ამინანძე"; "ჰასან ხეირ ოლლი სადნაძე" და "არიერ ხეირ ოლლი სადინაძე"; "ემინ სალახ ოლლი ბარამძე" და "ქამილ სალახ ოლლი მარამძე" და სხვ.

სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგი გვარი საერთოდ არ ჩაიწერეს - შეგნებულად ან უყურადღებობის გამო. ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ გ. ბოჭორიძისა (1932 წ.) და გ. კირვალიძის (1944 წ.) მონაცემების მიხედვით ზოგიერთ სოფლებში (ყარათუბანი, ორფოლა, წინუბანი და სხვ.) გვხვდება ქართული გვარები, მაშინ როცა 1886 წ. აღწერის მიხედვით ამავე

სოფლებში ქართული გვარები არ დასტურდება.

მიუხედავად ყველაფრისა, 1886 წლის "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიები" წარმოადგენს ფრიად ღირებულ საარქივო დოკუმენტებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მაჰმადიანი მესხების ქართულ გვარებსა და საერთოდ მათ ეროვნულ ცნობიერებაზე.

1886 წ. აღწერის კვალდაკვალ, სხვა წლების აღწერის შედეგების შესწავლაც გადავწყვიტე. არქივში აღმოჩნდა ახალციხის მაზრის კამერალური აღწერები 1839, 1842, 1850, 1863 და 1873 წლებისა. მათზე მუშაობამ დამანახა, რომ აქ ქართული ფენა უფრო ნაკლებადაა მოცემული 1886 წ. აღწერებთან შედარებით. მათში წმინდა ქართული გვარები თითო-ოროლა თუ შეგხვდებით, მაგრამ გამოვლინდა საინტერესო კანონზომიერება.

რამდენადაც თურქებს არ გააჩნდათ გვარის ინსტიტუტი, ისინი ვინაობას აფიქსირებდნენ საკუთარი ან მამის სახელის მიხედვით. მაგალითად, მამედ ჰასან ოლლი, ოსმან რაჯაბ ოლლი და ა.შ.

აღწერებში კი მესხები ძირითადად იწერებოდნენ არა მამის სახელის, არამედ თავისი მოდგმის სახელის მიხედვით, რომელიც უწინ მის გვარს წარმოადგენდა. ჩამოაცლიდნენ "შვილსა" და "ძეს" და მიუმატებდნენ იგივე შინაარსის მატარებელ თურქულ "ოღლის". ვღებულობდით: იბო-ოღლი, ტოსო-ოღლი, სარაჯ-ოღლი, რესო-ოღლი, ლომი-ოღლი, მუთო-ოღლი, რევაზ-ოღლი, პაკლე-ოღლი და ა.შ.

იყო შემთხვევები, როცა გვარს ქართულ დაბოლოებებს არ ჩამოაცლიდნენ და მას კიდევ "ოღლი" ემატებოდა. გამოდიოდა საინტერესო ტავტოლოგია: ჩოხაძე-ოღლი (სოფ. ადიგენი), გელაძე-ოღლი (სოფ. დერცელი), ბახტაძე-ოღლი (სოფ. ტატანისი), მახარიძე-ოღლი (სოფ. მოხე), ტატიძე-ოღლი, კიკნაძე-ოღლი (სოფ. კლდე), ბაძაძე-ოღლი (სოფ. საყუნეთი, სოფ. ზედა ოშორა) და ა.შ.

იყვნენ ისეთებიც, ვინც მტკიცედ იცავდა წინაპართა გვარს. ასე, მაგალითად, საუკუნეთა სიღრმეებიდან უცვლელად მოდის გვარი მესხიძე აწყურიდან, ისევე, როგორც გურგენიძე, ორჯონიკიძე, დარჩიძე და ბევრი სხვა.

მკითხველს თვითონ შეუძლია გააკეთოს ასეთი შედარებები ქვემოთ მოტანილი ცხრილების საფუძველზე. მათში მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სოფლებისა, რომლებსისთვისაც დამახასიათებელია ზემოთქმული.

რაც შეეხება ინფორმაციას მმჩინის ჩვენებებიდან, რომელზეც მე დიდ იმედებს ვამყარებდი, იგი მწირი გამოდგა.

ადიგენის რ-ნის მმჩინის განყოფილების გამგის ციალა ბერაძის (19.04.96) გადმოცემით, როდესაც 1944 წ. მესხეთიდან გაასახლეს ადგილობრივი მოსახლეობა, თან წაიღეს მმჩინის წიგნებიც, რომელთა შედგომა ბედი მისთვის უცნობია.

თუმცა ადიგენის მმჩინის განყოფილებაში შემთხვევით შემორჩა სამი

წიგნი:

1. 1929 წ. მმანის წიგნი,
2. 1930 წ. ვარხნის სოფლის საბჭოს მმანის წიგნი,
3. 1934 წ. დაბადების აქტების რეგისტრაციის წიგნი.

პირველ წიგნში აღმოვაჩინეთ მაჰმადიანი ქართველების 4 გვარი - ლომიძე, კიკნაძე, სანიკიძე და ბაქრაძე - ყველანი ადიგენის რ-ის სოფ. უდედან.

მეორე წიგნი შედგენილი იყო აზერბაიჯანულ ენაზე ლათინური შრიფტით და მათში არ აღმოჩნდა ქართული გვარი. სოფლის მოსახლეობა დასახლებულია, როგორც "მუსლიმანი". ასევე იყო შედგენილი მესამე წიგნიც, სადაც მაჰმადიან მოსახლეობაში ენახეთ რამდენიმე ქართული გვარი. ეს ადასტურებს გ. კირვალიძის ნათქვამს: "რაიონულ მმანში სოფლად 1921-26 წ.წ. საქმეთა წარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, 1926-1929 წ.წ. თათრულად ძველი სპარსული ალფაბეტით, 1930-1935 წ.წ. თათრულად ლათინური ასოებით, 1935 წლიდან დღემდე კი რუსულად."⁸

ადიგენის მმანის განყოფილება ხშირად იღებს დეპორტირებული მესხებისაგან დაბადების მოწმობის ასლების გამოთხოვის წერილებს. მმანის ძველი წიგნების არარსებობის გამო შეუძლებელია ამ თხოვნის შესრულება. მმანის განყოფილების გამგე ც. ბერაძე თვითონვე მიმართავს მათ თხოვნით აიღონ დღევანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაბადების მოწმობა და გადმოუგზავნონ ადიგენის მმანის ბიუროს ამ მოწმობის გაცემის დამადასტურებელი ცნობა.

ამგვარად ადიგენის მმანის განყოფილებაში, კეთილსინდისიერი გამგის ძალისხმევით 1971-1988 წლებში შემოღებულ იქნა ახალი წიგნი "საქართველოს სსრ ადიგენის რაიონში დაბადებულ მოქალაქეთა დაბადების მოწმობის აღდგენის დადასტურება". ამ წიგნში ბევრია ქართული გვარი: მელიქიძე (სოფ. ზაზალო), დარსიძე (სოფ. მოხე), მესხიძე (სოფ. აბასთუმანი), ჩიკივაძე (სოფ. ზედუბანი) და სხვ. ეს დასტურია იმისა, რომ ბევრი დეპორტირებული მესხი დღესაც ატარებს ქართულ გვარს და არ აპირებს მის დათმობას.

დიდი მასალაა მოცემული ახალციხის ისტორიული მუზეუმის ყოფილი დირექტორის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ხოსიტაშვილის ხელნაწერში, რომელიც ინახება მუზეუმში. ხელნაწერის მასალა ძირითადად მოპოვებულია მესხეთის იმ მოსახლეობასთან საუბრებიდან, რომლებიც არ იყვნენ დეპორტირებულნი. წყაროებში მითითებულია 170-ზე მეტი ქართული გვარი მაჰმადიანი მესხებისა.

პირად საუბარში (21.04.96) ს. ხოსიტაშვილმა გვითხრა, რომ გამოყენებული აქვს აგრეთვე ქ. ახალციხის სამხედრო კომისარიატის მონაცემები, და რომ საქართველოს სსრ ყოფილი სუკ-ის არქივში, მისი აზრით, შესაძლებელია

მოინახოს ბევრი რამ, დაკავშირებული 1944 წ. გასახლებული მაჰმადიანი მესხების ქართულ ანთროპონიმიკასთან.

დაუბრუნდეთ აღწერების მასალებს. მომაქვს ამონაწერები საარქივო დოკუმენტებიდან.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია, 1872 წ.

განცხადება

ამიერკავკასიის ახალი გამერალური აღწერის წარმოების შესახებ

კამერალური აღწერის ბოლო შემოწმების შემდეგ, სწავლასწავ მიწეის გამო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობაში. ამიტომ მის იმპერატორობით უდიდებულესობას, დიდ თავადს, კავკასიის მეფისნაცვალს ნებავს, რომ ცნონ აუცილებლობა ამიერკავკასიაში ახალი კამერალური აღწერის წარმოებისა, რომელიც მოსახლეობის დასწრებით ჩატარდება მისი იმპერატორობით უდიდებულესობის მიერ დამტკიცებული წესების საფუძველზე; უაველგვარი სიხელის თავიდან ასაცილებლად დადგენილია შემდეგი:

წესები ამიერკავკასიის მოსახლეობის კამერალური აღწერის წარმოებისათვის

§1

... კამერალურ აღწერაში შეტანას ექვემდებარება ყველა ასაკის, სქესის, თაობის, ტომისა და აღმსარებლობის ნამდვილად არსებული პირი, მათ შორის მამრობითი სქესისანი საკუთარი სახელებით, მღვდრობითისა - თითოეულ კომლაში შეხვალა სჯერთო რაოაღნობით.

§2

კამერალურ სიებს აღგენენ: ... ბ) სჯერთოდ ყველა მოსახლეუ, ვინც ცხოვრობს საკუთარ, სახასიო, სათემო, საეკლესიო, მემამულის, ბეგების ან ალბების მიწაზე სოფლის მამასახლისი არჩეული პირების დახმარებით...

... §4

... სიები უნდა შედგეს თანდართული ფორმების მიხედვით, რომლებშიც ჩაიწერება

ქალაქის სახელწოდება, სოფლებში კი - მასრიხა და სოფლის ან მომთაბარე თემის სახელწოდება, შემდეგ უნდა უწვეონ: ... გ) რომელ წოდებას ან უწეებას ეკუთვნის მოსახლე... დ) შემდეგ ჩაიწეროს კომლის უფროსის (მამრობითი სქესისა) სახელი, მამის სახელი, მეტსახელი ან გვარი, რამდენი მამაკაცია ოჯახში, შემდეგ ციფრებით აღინიშნოს, თითოეული მათგანის წლოვანება, კომლში შემავალი მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა და აღინიშნოს, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნიან და სხვა, როგორც ამას წინასწარ შედგენილი ფორმები მოითხოვს.

... §6

... სიებში შეტანილ უნდა იქნეს უკლებლივ ეველა ჰირი, რომელიც ცხოვრობს მოცემულ ქალაქს ან სოფელში იმისდა მიუხედავად, არის აღწერის მომენტში სახესე თუ ადგილსე არ არის.

... §15

როგორც კი მიიღებენ სიებს იმ ჰირებისაგან, რომლებიც არჩეულ იყვნენ აღწერის საწარმოებლად, მასრიხს უფროსები და ჰალიციის განყოფილებები გასცემენ განკარგულებას ეოველი კომლის ეველა მამაკაცის შემოწმების შესახებ, რისთვისაც საჭიროა თითოეულ ქალაქს და სოფელში სახლიდან სახლში სიარული; ამასთანავე, თუ აღმოჩნდა, რომ ეველა მამრობითი სქესის ჰირი დაუფარავად არის მითითებული სიაში, ასეთი კომლის გასწვრივ კეთდება სათანადო აღნიშვნა: "სწორია"...

ასეთ სიებს ხელს აწერს როგორც შემოწმებელი ჩინოვნიკი, ასევე ამ სიების შემდგენელი და თარჯიმანი, თუ ის თან ახლავს შემოწმებელ ჩინოვნიკს. შემდეგ სოფლის მოსახლეობის სიებს წაიკითხავენ სოფლის საერთო კრებაზე, რომელსაც უნდა დაესწროს სოფლის მოსახლეობის არანაკლებ 2/3-ისა; ცხადდება სათანადო გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს დამატეკიცებულ საბუთს შემოწმებული სიების სისწორისა.

... §33

კამერალური აღწერის დაწეებიდან ამ აღწერის საბოლოო შემოწმებამდე ჩინოვნიკების მიერ, შეჩერდეს მოსახლეობის გადაწერ-გადმოწერა ერთი ადგილიდან, ან ერთი წოდებიდან მეორეში. თითოეული ჰირი უნდა აღიწეროს მისი მუდმივი და ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იქ, სადაც მას მოუსწრო აღწერამ.

... სახინის მიერ მიწის განაწილებისას, ეოველი სოფელი ან თემი მიიღებს მიწას.

კომლების იმ რაოდენობისათვის, რაც კამერალურ აღწერაშია მითითებული; და თუ მოსახლეობის რეალური სულალობა მეტი აღმოჩნდება აღწერაში მითითებულსე, მაშინ მიწები არ გაიცემა იმ კომლებსე, რომლებიც აღწერის სიებში არ არიან შეტანილნი."

[საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 13, აღწერა 23]

ლოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ სოფლის მოსახლეობა ეთანხმება აღწერის შედეგებს, ასე გამოიყურება:

"საერობო კრების გადაწყვეტილება

1873 წ. 4 დეკემბრის დღეს ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი, სოფელ ჭაჭარაქის სასოფლო თემის მოსახლეობამ შევადგინეთ ეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გავვეცანით კამერალური აღწერის სიას და მასში ჩაწერილი ეველა მონაცემი სწორად მიგვანჩია. არ არის გამოტოვანი არც ერთი კომლი, არც ერთი სული, რასაც ხელს ვაწერთ...

/ხელმოწერები/

სოფ. ჭაჭარაქის მმართველობის უფროსი კირაკოზ ვირაბოვი

/მმართველობის ბეჭედი/ "

[თბილისის სახაზინო პალატა, ფონდი 254, აღწერა 3, საარქივო № 208]

მსგავსი "გადაწყვეტილება" თან ერთვოდა ყოველ სიას.

საოჯახო სიების შედგენასთან დაკავშირებით 1889 წ. რეკომენდირებული იყო შემდეგი:

"საოჯახო სიების შედგენის შესახებ ამიერკავკასიის სტატისტიკის კომიტეტი

29 მარტი 1886 წ.

№ 176

საქმის ვითარება

სახელმწიფო საბჭოს უსენახესი აზრის დასტურით 1886 წ. 24 თებერვალს დადგინდა:

I. მთელ ამიერკავკასიაში დაიწყო მოქალაქეების, გლეხებისა და სხვა ჰირთა საოჯახო სიების შედგენა ძირითადი საფუძვლების დაცვით:

1. აღნიშნული სიები, რომელთა უპირატესი დანიშნულებაა სამხედრო სამსახურისთვის ვარჯისიანი ჰორების აღწერა, დამატებით უნდა შეიცავდეს სუსტ მონაცემებს მოქალაქეთა, გლეხებისა და სხვა ჰორთა შესახებ. აგრეთვე მონაცემებს თითოეული კომლის გადანიშნულების შესახებ.

II. კავკასიის მხარეში სიების შედგენისათვის გაწეული ხარჯების დასაფარავად 1886 წ. ამიერკავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარი მმართველის განკარგულებით გამოიყოფს ასი ათასი მანეთი.

დებარტამენტებს ურადღებდა განახვილონ იმ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის მიხედვითაც კავკასიის ხალხთა მორიგი აღწერა სახელმწიფოს ამ ნაწილის თავისებურებისაგან გამომდინარე სრულიად განსხვავებულად წარმართება იმპერიის დანარჩენ ნაწილებში მსგავსი სამუშაოების ჩატარებისაგან და უკვე აღკვეთილი იქნება მნიშვნელოვანი ხიზნულები. ამ მხარეში რკინიგზისა და, საერთოდ, გაკეთებული გზების მცირერიცხოვნებისა და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების გაფანტულობის ჰორბებში, როცა ბევრი დასახლებული პუნქტი მხელად მისაწვდომ ადგილებშია, იმ ჰორთა გადაადგილება, რომლებსაც დავალებული იქნებათ სიების შედგენა, მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფა იქნება საჭირო. ამას გარდა, გასათვალისწინებელია აღმწერთა საქმიანობის სიროულე მოსალოდნელი არამეგობრული, ან, საერთოდ, საწინააღმდეგო განუყობილების გამო მაჰმადიანი მოსახლეობის მხრიდან, რადგანაც ისინი ვერ ეგუებიან მთავრობის ჩარევას მათ თავასურ საქმეებში. ამიტომ აღწერის პროცესში ქვედა აღმინისტრაციული ორგანოების მოქმედებით შემოფარგვლა უაფეთვის არ იქნება საკმარისი; საჭირო განდებდა ისეთი ჰორების მოძებნა, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება და ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა.

აღნიშნული მიზეზების გამო უნდა გაიზარდოს გაუთვალისწინებელი ხარჯები იმ შემთხვევაში, რომელიც წინასწარ აღრიცხვას არ ექვემდებარება მინსლოებითაც კი. და, ბოლოს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არის საფუძველი ვარაუდისა, რომ ამ წამოწეების წარმატებით შესრულება სახელმწიფო ხაზინას სარგებლობას მოუტანს.

ეჭვი არ არის, რომ კავკასიის მხარის ბოლო კამერალური აღწერის შემდეგ, რომელიც კარგა ხანია ჩატარდა, კომლების რაოდენობა გაიზარდებოდა, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის, ისე ოჯახების გაყოფის შედეგად.

ამდენად, საოჯახო სიების შედგენა, თუკი იგი საქმის ცოლნითა და კეთილ-

სინდისიერებით ჩატარდება, უკვე აღადგინოს საკმაო რაოდენობის ბეგარის გადამხდელი ერთეულს, რომელიც დღეს საქმის წარუქმის გამო სრულებით იცილებს თავიდან დაბეგვრას."

[საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 415, საქმე 25]

მოყვანილი დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ არსებობდა რაიმე წინასწარი მითითება აღსაწერი პირების ამა თუ იმ ეროვნებისთვის მიკუთვნების შესახებ. აქცენტი უფრო იმაზე იყო გაკეთებული, რომ "მამრობითი სქესის ყველა პირი, რომელთაგანაც შედგება კომლი, დაუფარავად იქნას ნაჩვენები". აღწერის მიზანი იყო გამოეკლინათ "საკმაო რაოდენობის ბეგარის გადამხდელი ერთეული", რომელიც "აქამდე სრულიად არიდა და თავს დაბეგვრას", რომ ყველას უკლებლივ ეხადა ბეგარა მეფის ხაზინის შესავსებად. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოტანილი აღწერის წარმოების წესებზე დართული ბლანკების ნიმუშებში არის ასეთი გრაფა: "რა აღმსარებლობისაა" (მოცემულია პასუხის ნიმუშები: "მართლმადიდებელი", "სომეხი-გრიგორიანელი", "მაჰმადიანი") და "რომელი ტომისაა" (პასუხები: "ქართველი", "სომეხი", "თათარი"). მონაცემების ასეთი განლაგებისას გასაგები ხდება გრაფაცია: "მართლმადიდებელი ქრისტიანი" - ე.ი. "ქართველი", "სომეხი-გრიგორიანელი" - "სომეხი", "სუნიტი-მაჰმადიანი" - "თათარი". აქედან, ნათელია სავარაუდო პასუხებიც: მაჰმადიანი თავს "თათარებს" მიაკუთვნებს. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს ტავტოლოგიაა, იმიტომ რომ "თათარი" ნიშნავს "მაჰმადიანს". ამ სიების მიხედვით თათარი იქნება ქურთიც, თარაქმაც, ყარაფაფაც და მაჰმადიანი მესხიც, თუმცა ეს უკანასკნელი სულ სხვა ეთნოსს მიეკუთვნება. აი კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც მნიშვნელოვნად ართულებდა მაჰმადიანი მესხების ეროვნული კუთვნილების საკითხს. ამიტომაცაა, რომ ისინი თავს ქართველებად არ თვლიდნენ, რადგანაც "ქართველი" მათ წარმოადგენაში ნიშნავდა "ქრისტიანს".

არის კიდევ ერთი გარემოება: რუსეთის იმპერიასთან მესხეთის მიერთების შემდეგ რუსეთის მთავრობას უნდოდა ქართველი მაჰმადიანების ასიმილირება რელიგიის საფუძველზე. ამიტომაც ქართველებად თვლიდნენ მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველებს. მათთვის "მაჰმადიანი ქართველი" არ არსებობდა. უფრო სწორად, მათ სურდათ აღმოეფხვრათ ეს ცნება. ამიტომაც ქართველი მაჰმადიანები ჩაწერილნი იყვნენ, როგორც "თათარი" - თარაქმასთან, ქურთებთან და სხვა მაჰმადიანებთან ერთად.

ცხადი ხდება ის ფაქტიც, თუ რატომ უწოდებდნენ მესხები თავს "იერლი მისლიმან" ("მკვიდრი მაჰმადიანი", თურქ.), რათა განსხვავებულყვნენ მოსული მაჰმადიანებისაგან - მომთაბარე ტომების წარმომადგენლებისაგან (ქურთები, თარაქმამა), რომლებიც მესხეთში ჩამოსახლდნენ XVII-XVIII ს.ს.

ცხრილები

იმ ცხრილებზე, რომლებშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა წლებში რეგისტრირებული გვარები, უბრალო თვალის გადავლევაც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი აღწერები 1886 წ. აღწერისაგან. ამ უკანასკნელში ქართული გვარები გაცილებით მეტი რაოდენობითაა მოცემული.

უნდა ითქვას, რომ საკვლევ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვან მიგრაციას ახალციხის მაზრაში ადგილი არ ჰქონია. სიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი და იგივე პირები ცხოვრობდნენ მოცემულ სოფლებში ხუთი, ათი, ოცი და მეტი წლის წინ.

მაგალითად, 1873 წ. სოფ. პატარა სმადაში მცხოვრები ერთი კაცი თავს უწოდებს "დურსუნ ყოჩალი-ოღლი"-ს, ხოლო 1886 წ. იგი უკვე "დურსუნ ყოჩალი ოღლი ბარამიძეა" და თავს "ქართველ მაჰმადიანად" თვლის; ანდა 1850 წ. სოფ. ჩორჩანში ცხოვრობდა კაცი, სახელად "მავლუდ აბდურაჰმან-ოღლი", 36 წლის, "ეროვნებით თათარი". მას ვხვდებით 1886 წ. აღწერაში, როგორც "მავლუდ აბდურაჰმან ოღლი ვლადიმერძეს", 59 წლის, "ეროვნებით ქართველს"; ან კიდევ, სოფ. აწყვიტაში 1873 წ. რეგისტრირებული 35 წლის "რეშიდ მამედ-ოღლი, ეროვნებით თათარი", 1886 წ. ხდება 48 წლის "რეშიდ მამედ ოღლი ვეფხვაძე ეროვნებით ქართველი" და ა.შ.

ერთი შეხედვით უცნაური მოვლენაა, მაგრამ ამის ახსნა შეიძლება. XIX ს. 60-იან წლებში მესხეთის უდიდესი ნაწილი თურქების ხელში იყო. ამ დროისათვის საქართველოში შეიმჩნევა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება. ქართველი განმანათლებლები იღია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები დგანან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში, ეროვნული ერთიანობის აქტიურ პროპაგანდას ეწევიან მიუხედავად რელიგიური მრწამსისა. აი, რას წერდა ი. ჭავჭავაძე 1871 წ.:

"ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, ... არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა... ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო... გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიატა გვქონია..."

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ.

ჩვენი სასიქადულო "ვეფხის-ტყაოსნის" მოქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თვის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამებებული სიყვარული თითქმის იქილამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს... ვგრეთ, - მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები - ერთად სისხლის ძღვრეულნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი...

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ვგარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს... და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიფრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ..."

1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, მესხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი - აჭარა, რომელიც ოსმალთა უღელქვეშ იმყოფებოდა, დაუბრუნდა მშობლიური ქართული კულტურის წიაღს. მიუხედავად დიდი წნეხისა თურქული ადმინისტრაციის მხრიდან, აჭარლებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული თვითშეგნება და მასთან ქართული გვარებიც. მართალია გამაჰმადიანდნენ, მაგრამ თავს მაინც ქართველებად თვლიდნენ.

აჭარის დაბრუნებით საქართველოში წარმოიშვა "ქართველი მაჰმადიანის" ფენომენი და აღდგა ქართული პატრონიმები მაჰმადიანებში. ეს ვითარება აისახა მაჰმადიან მესხებზეც, რომლებმაც დაინახეს, რომ შეიძლება იყო ერთდროულად მაჰმადიანიც ქართველიც და, რომ ამ ორ ცნებას შორის არ არსებობს წინააღმდეგობა.

შედეგმაც არ დაახანა. უკვე 8 წლის შემდეგ, ახალციხის მაზრის 1886 წ. აღწერისას გამოჩნდა 300-ზე მეტი ქართული გვარი. მათი მფლობელები თავს უწოდებენ ქართველ მაჰმადიანებს. ამასთანავე, სოფლებში, სადაც ადრე არ იყო დაფიქსირებული ქართული გვარები, მაგალითად: მლაშე (16 კომლი), ნაშნაური (7 კომლი), ტოლოში (11 კომლი), ჩორჩანი (16 კომლი), ზანავი (24 კომლი), ზედა ოშორა (67 კომლი) და სხვა, ახლა გამოჩნდა ასეთი გვარები შემდეგი რაოდენობით: მლაშე - 11 გვარი, ნაშნაური - 7 გვარი, ტოლოში - 6 გვარა, ჩორჩანი - 10 გვარი, ზანავი - 8 გვარი, ზედა ოშორა - 28 გვარი და ა.შ.

ქვემოთ მოტანილი ცხრილების ერთ-ერთი სვეტის სახელწოდებაა - "მესხების მონაცემები". ეს ინფორმაცია თავისებური კამერტონის როლს ასრულებს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების სისწორის დასადგენად.

მესხების მიერ დასახელებული გვარებიდან ზოგიერთი პირდაპირ

ეხმანება საარქივო მონაცემებს, მაგალითად: შავაძე, პაპიძე (სოფ. კეხოვანი), თურმანიძე (სოფ. მლაშე, ზარზმა), კოპაძე (ორჭოშანი), გურგენიძე (წრიოხი), ჯინჭარაძე (ბოლაჯური) და სხვა.

ზოგი გვარი ტრანსფორმაციას განიცდის, მაგალითად ქაქუჩაძე და ქოქუჩაშვილი (სოფ. არზნი), გაგნაძე და გაგნიძე (სოფ. კლდე), ქატუნაშვილი და ქატუნაძე (სოფ. შურდო), ჭიჭინაძე და ჭუჭუნაძე (სოფ. წახანი), ზაზაშვილი და ზაზვაძე (სოფ. ფლატე) და სხვა.

გარდა ამისა, მესხებისათვის დამახასიათებელია გვარის ძირის დასახელება, რომელსაც უმატებენ სიტყვა "გილ"-ს, რაც თურქულად ნიშნავს "მოდგმა"-ს. მაგალითად, "სარაჯ-გილი", "ხუცი-გილი", "დეშო-გილი", "ჭუჭულა-გილი" და სხვა.

ცხადია, ისინი წარმოქმნილი არიან შემდეგი ქართული გვარებისაგან: სარაჯიშვილი, ხუციშვილი, დეშოიძე, ჭუჭულაძე და ა.შ.

ქარიმ რასულოვმა, 22 წ. სტუდენტმა მითხრა (13.06.95): "ჩვენი გვარი ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას ადიგენის რ-ის სოფ. წახანში. ჩვენ გვიწოდებდნენ "ყარა მოლა-გილ"-ს ("შავი მოლას მოდგმა"), მაგრამ პაპა ამბობდა, რომ ჩვენ გვაქვს უფრო ძველი მეტსახელი - "ამფა-გილი".

მოგვიანებით არქივში აღმოვაჩინე "იმ ალაღარების სია, რომლებიც სარგებლობენ სახაზინო მიწებით და არ იხდიან სახაზინო ბეგარას" (1848 წ.). ამ დოკუმენტში, ერთ ადგილას, რომელსაც ჰქვია "რაპორტი ქობლიანის განყოფილების უფროსს" ნათქვამია: "სოფ. წახნისწყაროს საზღვრებში სახაზინო მიწებით სარგებლობს ახალქალაქელი აბდულა ეფენდი, რომელსაც აქვს ორი დღის სახნავი მიწა... რაც შეეხება აბდულა ეფენდის მიერ აშენებულ წისქვილს, პატივი აქვს მოახსენოს, რომ ეს ადგილი ეკუთვნოდა სოფ. წახნის მცხოვრებს მოლა ჰუსეინ აბდულა-ოღლის, რომელმაც 1944 წ. 15 მანეთად მიყიდა აბდულა ეფენდის, ხოლო აბდულა ეფენდიმ, იყიდა რა ეს ადგილი და ნახა, რომ იგი მოუხერხებელია სახნავად, ააშენა ამ ადგილზე წისქვილი, რომლითაც იგი სარგებლობს".

[საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 54, "ახალციხის სამაზრო სამართველო", არქივი №220]

საარქივო მონაცემების ასეთი დამთხვევები მესხების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ ამ ინფორმაციის მნიშვნელობაში და მისი უფრო დეტალურად შესწავლის აუცილებლობაში.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. 43 წ. მესხმა ნურადი მამედოვმა ყირგიზეთიდან მომწერა: "დავიბადე უზბეკეთში, ვარ ცოლიანი, მყავს 4 შვილი. თუ საშუალება იქნება, რომ გადმოვსახლდე ადიგენის რ-ის სოფ. უწაში, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ, დაუყოვნებლივ გამოვემგზავრებოდი... გთხოვთ

გამიწიოთ დახმარება ჩემი ქართული გვარის მოძებნაში. ჩვენს მოდგმას უწოდებენ "ომო"-ს. ბავშვობაში პაპაჩემისგან გამიგონია, ბორჯომში ვიღაც ჩვენი გვარის კაცი ცხოვრობდა. პაპა ხშირად ჩადიოდა მასთან სტუმრად. შეიძლება დღესაც ცხოვრობენ სადმე, საქართველოს რაიონებში ჩვენი გვარის ადამიანები." (01.04.89)

"აბასთუმნის სახლის მფლობელთა სიებში" (1916 წ.) აღმოვაჩინე ვინმე ომიძე, რომელსაც ქვემო აბასთუმანში ჰქონდა ერთსართულიანი სააგარაკო სახლი.

სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარში 82 წლის შამზათ იბრაგიმოვმა მითხრა (12.05.96): "ჩვენთან ყურათუბანში ცხოვრობდა დაუდ-ოღლი. ჩვენ მოდგმას კი უძახდნენ "უბედ'რა"-ს.

გაირკვა, რომ 1842 წ. ახალციხის მაზრის სოფ. ყურათ-უბანში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი "დაუდ-ოღლი". ხოლო "უბედ'რა" სხვა არაფერია, თუ არა ქართული გვარის - "უბედურიძის" ფუძე.

35 წ. ხ. მავლუდოვმა, რომლის წინაპრები ცხოვრობდნენ ადიგენის რ-ის სოფ. ნაშნაურში, მითხრა (13.09.95), რომ მოხუცები მათ მოდგმას უწოდებდნენ "თადგრუზიას", მაგრამ მას არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. საარქივო მონაცემებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ 1886 წ. ახალციხის მაზრის სოფ. ნაშნაურში რეგისტრირებულია გვარი "თადგირიძე", რაც არსებითად წარმოადგენს ქართული გვარის "თავდგირიძის" ძველ ფორმას.

ვოლგოგრადის ოლქის მეურნეობაში "გორნაია პროლეიკა" 74 წ. რიზმან აზიზოვმა მითხრა (19.06.96), რომ მის მშობლიურ სოფ. ჯაყისმანში ცხოვრობდა რამდენიმე გვარის ოჯახი, მათ შორის იყვნენ "ჭაილა-გილი" და "ბიძლი-გილი". ეს მონაცემები ემთხვევა გ. კირვალიძის მონაცემებს, სადაც 1944 წ. ახალციხის რ-ის სოფ. ჯაყისმანში რეგისტრირებულია გვარები "აითაძე" და "ბებნაძე".

35 წ. ისა აბიბოვმა სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარიდან მითხრა (13.05.96): "მე წარმოშობით ადიგენის რ-ის სოფ. პატარა სმადადან ვარ. ქართული გვარი არ შემოგვრჩა. მე მინდა მოვძებნო იგი, რათა შემთხვევითი გვარი არ მივითვისო. მამა ამბობდა, რომ ჩვენ მოდგმას ეძახდნენ "ჩახტიან-გილ"-ს. საინტერესოა, რას ნიშნავს ეს სიტყვა და აქვს თუ არა მას საერთო გვართან.

ლინგვისტი-აღმოსავლეთმცოდნე ზეზვა მეღულაშვილის კომენტარი (17.07.96, თბილისი): "ეს სიტყვა ნამდვილი ქართული სიტყვაა. იგი მხოლოდ ქართული ენისათვისაა დამახასიათებელი. სტრუქტურული ლინგვისტიკის თანახმად არსებობს გარკვეული ბგერათმეხამებები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის. ასე, რომ სიტყვაში "ჩახტიანი" ბგერათმეწყობა "ხტ" დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ენისათვის და მომდინარეობს ამ კონკრეტულ

შემთხვევაში ზმნა "ზტომა"-საგან, სადაც ზტ - ფუძეა, ლმ - თემის ნიშანი, ა - სუფიქსი, რომელიც წარმოქმნის ზმნის საწყის ფორმას, ისევე, როგორც "ჯდ-ომ-ა". "ჩა" პრეფიქსია, რომელიც ზევიდან ქვევით მოძრაობას მიუთითებს. სიტყვა "ჩაზტი" - ბრძანებით კილოს გამოხატავს, სუფიქსი "იანი" რომელიმე მოდგმისადმი მიკუთვნებას ნიშნავს. ასეთი საშუალებით ქართულ ენაში ბევრი გვარია წარმოქმნილი (მაგალითად: ორბელიანი, ავალიანი, ჩარკვანი), ამავე სუფიქსით იწარმოება ზოგიერთი სიტყვა (ტყე-ტყვანი, წყალი-წყლანი), აგრეთვე ზოგიერთი ტოპონიმი, მაგალითად - ბაკურიანი (ბაკური ძველი საკუთარი სახელია, ბაკურიანი - ბაკურის კუთვნილი ადგილი).

"ჩაზტი" - მეტსახელია. საქართველოში მეტსახელები ძალიან იყო გავრცელებული. "ჩაზტიანი" - სწორედ ამ მეტსახელიდან წარმოქმნილი გვარია. მაგრამ გვარი შეიძლება ყოფილიყო არა მარტო "ჩაზტიანი", არამედ "ჩაზტაძე" ან "ჩაზტიშვილი", ე.ი. სუფიქსი "იანი" შეიცვლებოდა "ძე"-თი ან "შვილი"-თ. ნებისმიერი დაბოლოების შემთხვევაში ეს არის წმინდა ქართული სიტყვა."

აი, რა მდიდარ ინფორმაციას იძლევა ხალხის ცოცხალი მეხსიერება. დასასრულ შეიძლება ითქვას: არა აქვს მნიშვნელობა ემატება თუ არა მოდგმის აღმნიშვნელ სახელს "გილ", "ოღლი" თუ სხვა რამ. მთავარია, რომ ფუძე ხელუხლებელი რჩება და, როგორც წესი, იგი ქართული გვარის ძირია.

საარქივო მასალაზე და ცოცხალ მოწმეებთან საშფლიანი მუშაობის შედეგად აღმოვაჩინე მაჰმადიან მესხთა 1000-ზე მეტი (უფრო ზუსტად 1094) ქართული გვარი. თუმცა ეს მუშაობა ამით არ დამთავრებულა. არის სხვა არქივები, გამოუკითხავი მესხები, რომლებიც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ კრასნოდარის მხარეში, ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში... მე მუშაობის გაგრძელებას ვაპირებ და იმედი მაქვს, რომ წინ ბევრი საინტერესო აღმოჩენა მელის. შემდეგისათვის განზრახული მაქვს გამოვაქვეყნო ჩემს მიერ მოძიებული მაჰმადიანი მესხების ყველა ქართული გვარი.

ენლა კი გავეცნოთ უშუალოდ ცხრილებს.

ცხრილი 1

სოფ. აბასთუმანი

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1886 | მაისურაძე 1938 | ზოსიტაშვილი 1976 | მმჩი 1988 | მესხთა მონაცემები |
|----------|------------------------|------------|-------------------------------------|--|---------------------------------|------------------|-----------|--|
| თურ-ოღლი | თებურ-ოღლი თურ-ოღლი | თებურ-ოღლი | აღა ღორთქუფანიძე | ჭალიძე ღორთქუფანიძე ღვლებლაშვილი კახაშვილი კათალაშვილი | ამერ-ხიჭაბა-შვილი კრუხაშვილი | ულარჯიშვილი | მესხიძე | მესხიძე აბულაძე აბიძე წურაძე (ყვრალა-გილი) ქიქრი-გილი |
| | ბობაგერ-ოღლი | მუთიოღლი | მუთიოღლი მათი-ოღლი პუგარ-ოღლი | | | | | |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1886 | ბოჭორიძე 1932 | კირეულიძე 1944 | ხოსიტაშვილი 1976 | მესხია მონაცემები |
|------|-------------------------|-------------------------|------|------|---------------------|--|---------------------|----------------------|
| | ტილუშ-ივლი | ტილუშ-ივლი | | | გვარამაძე კოტეძე | ათიაძე ბეხუნაძე გვარამაძე კოტეძე | კოტეძე | |
| | ტილუშ-ივლი | | | | ტილუშძე | კოვალაძე ქოჩორაძე ზადიძე ნადირაძე ფერაძე | | |
| | გახინ-ივლი მუთო-ივლი | გაუჩნ-ივლი მუთო-ივლი | | | საგინაძე | | | |
| | ტილუშ-ივლი | ტილუშ-ივლი | | | | | | |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1886 | ნოწისმფლო- ბელთა სია 1890 | ბოჭორიძე 1932 | მმაჩი 1988 | მესხია მონაცემები |
|--------------|--------------|--------------|------|---|---------------------------------------|-----------------------------|----------------------------------|--|
| მუთო-ივლი | მუთო-ივლი | მუთო-ივლი | | ბეგა ქრისტოფი მაზინაშვილი ულკინაძე პაპკინძე | ბეგა ქრისტოფი ხევი ჯირიჯიაძე | ბეგა ურისტაფი- ჯირიჯიაძე | | |
| პაპი-ივლი | პაპი-ივლი | პაპი-ივლი | | აფაქიძე ჩხაკაძე | | ლორიკიფანიძე ჩხაკაძე | | პაპიძე |
| ჩაკიძე-ივლი | ჩოკიძე-ივლი | ჩოკიძე-ივლი | | ბეგაძე გოჭინაძე პრაჭი-მელი მუყარაძე | ბეგა ფალავანდოვი | ბეგა ფალავანდოვი | | ჭვჭაძე კასიტაძე სარალიძე კახიძე |
| მეტე-ივლი | მეტე-ივლი | ბარბარო-ივლი | | ლააკიძე ია-შვილი სადინაძე სადინაძე სადინაძე სადინაძე ჩალიშვილი | | მაკარიძე | მაკარიძე ჩიობანიძე ბაქრაძე | |
| ბარბარო-ივლი | ბარბარო-ივლი | | | თუღულჩაგვილი გვქელაძე კოპიანი ზაზუნაძე მუღუღე ალთონაძე კვიციანიძე ამჩანაძე ჩაპანაშვილი ბარბაძე მარამიძე პაპიალ-შვილი | მამკელიძე | | | |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | პარტ. არქივი 1928 | ბოჭორიძე 1932 | მაისურაძე 1938 | ხოსიტაშვილი 1976 | მუსხია მონაცემები |
|------------|------------|------------|------------|-------------------|---------------|----------------|------------------|-------------------|
| ტოხო-ოვლი | ტოხო-ოვლი | | | ნადირაძე | | ჯუხარაშვილი | ღიასბიძე | თურმანიძე |
| ქაქია-ოვლი | ქაქია-ოვლი | ქაქია-ოვლი | მახო-ოვლი | | | | | ბახუტაძე |
| ქლაფა-ოვლი | ტეგა-ოვლი | | ჩორჩო-ოვლი | | | ღათაშვილი | | ვანაძე |
| კირი-ოვლი | ქლაფა-ოვლი | | | | | | | |
| ლეშვი-ოვლი | ლეშვი-ოვლი | | იხო-ოვლი | | | | | |
| თებერ-ოვლი | თებერ-ოვლი | | ზუგან-ოვლი | | ზუგალა | | ზუგალაშვილი | ზუგალიძე |
| იხო-ოვლი | იხო-ოვლი | | | | | | | |
| | ზუგან-ოვლი | ზუგან-ოვლი | ზუგან-ოვლი | | | | | |
| | ბახალ-ოვლი | ბახალ-ოვლი | | | | | | |
| | მათიო-ოვლი | მათიო-ოვლი | | | | | | |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1886 | პარტ. არქივი 1929-36 | კირვალიძე 1944 | ხოსიტაშვილი 1976 | მუსხია მონაცემები |
|---------------|---------------|---------------|---------------|-------------|----------------------|----------------|------------------|--------------------------|
| ჭყვირბე | ჭყვირბე | ალა კობაძე | | ბეგო | | მუხრანსკი | ახაშიძე | ტალახაძე |
| ღეშო-ოვლი | ხინო-ოვლი | | | მუხრანსკი | | | | |
| ტატი-ოვლი | ტატი-ოვლი | ტატი-ოვლი | | ალა ყოფიანი | | | | |
| შოშიან-ოვლი | შოშიან-ოვლი | შოშიან-ოვლი | | | | მამუკაძე | მამუკაძე | |
| | | | კალიკ-ოვლი | | | | | |
| ფიცო-ოვლი | ჭალიკ-ოვლი | ჭალიკ-ოვლი | ჭალიკ-ოვლი | ჭალიკ-ოვლი | | ბარბაქაძე | ბარბაქაძე | |
| | | | | ფიცო | | ხმალაძე | ღოზიძე | |
| კუბრა-ოვლი | საგინ-ოვლი | საგინ-ოვლი | საგინ-ოვლი | საგინოვი | | ბარათაშვილი | რუბე | |
| კანო-ოვლი | კუბრა-ოვლი | კუბრა-ოვლი | კუბრა-ოვლი | კუბრაძე | კუბრაშვილი | კუბრაშვილი | მურთაძე | |
| აზნაურ-ოვლი | აზნაურ-ოვლი | აზნაურ-ოვლი | აზნაურ-ოვლი | კინო | მუხსაძე | ჯანაშვილი | მძეკლაძე | ჯანაშვილი (ადრე დონიაძე) |
| ჩუბუნბე | ჩუბუნბე | აზნაურ-ოვლი | | ჩუბუნბე | | აზნაუროვი | | |
| ფიფურაძე | ფიფურაძე | | ორჯანიკძე | ორჯანიკძე | | ბაქრაძე | ორჯანიკძე | |
| მესხაძე | მესხაძე | | | მესხაძე | | მესხაძე | მესხაძე | |
| | | | | კაჭკაჭ | | ორჯანიკძე | | |
| ჯგუბ-ოვლი | ჯგუბ-ოვლი | გვალა-ოვლი | ალა გურგენიძე | გურგენიძე | | მალრაძე | ქოქიაშვილი | |
| თექიძე-ოვლი | თექიძე-ოვლი | | | გიჭო | | გურგენიძე | გიჭო | |
| ტოხო-ოვლი | ტოხო-ოვლი | ტოხო-ოვლი | ტოხო-ოვლი | ტოხო | | გაბანაძე | გაბანაძე | |
| ფადლიგან-ოვლი | გაბეკ-ოვლი | ფადლიგან-ოვლი | ფადლიგან-ოვლი | ტატი-ოვლი | | მალაშვილი | ქოქიაშვილი | |
| ფადლიგან-ოვლი | ფადლიგან-ოვლი | ფადლიგან-ოვლი | ფადლიგან-ოვლი | ჩაბუკაშვილი | | ნოზაძე | გიჭო | |
| ლეშვი-ოვლი | ლეშვი-ოვლი | ლეშვი-ოვლი | ლეშვი-ოვლი | ტარიძე | | ლოლაშვილი | ლოლაშვილი | |
| | | | ლომა-ოვლი | | | ლომაძე | ლომაძე | ლომაშვილი |
| | | | კოკან-ოვლი | კოკან-ოვლი | | ლომაძე | ლომაძე | საშვილი |
| | | | | მამუკაძე | | საშვილი | საშვილი | საშვილი |
| გული-ოვლი | გული-ოვლი | | მარინ-ოვლი | საპიტოვი | | ხალაძე | ხალაძე | |
| ტული-ოვლი | ტული-ოვლი | | | | | | | |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1886 | ბოჭორიძე 1932 | კირგულიძე 1944 | ზოსიტაშვილი 1976 | მესხია მონაცემები |
|---------------------------------------|--------------------------|--|------|---|----------------------|-------------------|---------------------|--|
| გვლამე-ოილი როსო-ოილი რეხო-ოილი | გვლამე-ოილი რეხო-ოილი | გვლამე-ოილი რეხო-ოილი გაღბი-ოილი | | მღებორაშვილი წულაფერიძე მღებორაშვილი ჯაბუჭიძე მარკიძე გვლამე ჩხაიძე რემბოშვილი ჯაბუჭიძე წულაფერიძე | მგელაძე ჭულიყვიძე | | | გვლამე ჩხიძე კიციანი კახიძე ჩახალიძე |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | ბოჭორიძე 1932 | პარტ. არქივი 1936 | კირგულიძე 1944 | ზოსიტაშვილი 1976 | მესხია მონაცემები |
|--|---|--------------------------------------|----------------------------|--------------------------------|-------------------------|--|----------------------------------|----------------------|
| გვგო-ოილი | გვგო-ოილი | | | გვგოლაძე | | გვგოლაძე | გვგოლაძე | |
| ხაბუტ-ოილი | | ხახან-ოილი ხახო-ოილი | | ბიბინაშვილი გვარამაძე | | აითაძე ბიბინაძე გვარამაძე ჯაბუჭიძე ასრათიძე ბუჭუჭაძე ნადირაძე სირაძე ხუცრაძე მამალაძე მაროძე კუჭიანი ლაყვიშვილი ზაფხიძე კოჭიანი თუთაძე კახანაძე ჩიტაძე სამსირიძე გონაძე ელაძე კუჭიანი თამარაძე ბუჭიანი ტაბატაშვილი | გვარამაძე | |
| გორამ-ოილი | გორამ-ოილი | | თასო-ოილი რუთო ალა-ოილი | ნადირაძე | | ნადირაძე | ნადირაძე | |
| ზაღი-ოილი კოტა-ოილი გურამ-ოილი ბასილ-ოილი ჩიტა-ოილი ბეხნ-ოილი | | | | ცქვიფიძე | | | | |
| მუთო-ოილი მამო-ოილი კოჭო-ოილი | ჩიტა-ოილი გორამ-ოილი მუთო-ოილი მამო-ოილი | | | ზურაბაძე კახანაძე ჩიტაძე | კახანაძე | კოჭიანი | კოჭიანი | |
| | | გორამ-ოილი მუთო-ოილი მამო-ოილი | გორამ-ოილი | | | ჯინგარაძე ტურაბაძე ხმალაძე | ჯინგარაძე ტურაბაძე ხმალაძე | |
| | | | | | | ხაბუტაძე | ხაბუტაძე | |
| | | | | | | ნადირაძე | ნადირაძე | |


სამცხის რეკა

შეღებულა ლ. ბარათაშვილის მიერ
1960 წ. მსხმთის ეკვილამ მოსახლეობის
აღწერის მიხედვით

იბარეთი

ქართლი

გურია



პირობითი აღნიშვნები

- ⊙ რაიონული ცენტრი
- დღესაც არსებული სოფელი
- დღეს აღარარსებული სოფელი
- ▬ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი
- ▬ საქართველოს რეგიონებს შორის საზღვარი
- სამცხის რაიონებს შორის საზღვარი

| რაიონი | სოფელ რაოდ. |
|----------|-----------------|
| | 1939 წ. 1989 წ. |
| ახალციხე | 83 47 |
| ადიგენი | 71 55 |
| ასპინძა | 62 20 |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1873 | 1886 | კირგალიძე 1944 | ზოსიტაშვილი 1976 | მუსხა მონაცემები |
|--------------|-----------|------------------------|--------------------------------------|-----------|-------------|---|--|---|
| დეშო-ოვლი | დეშო-ოვლი | | | | მაშუკაშვილი | მაშუკაშვილი თამარაძე | თამარაძე | თამარაძე |
| კოტი-ოვლი | კოტი-ოვლი | კოტი-ოვლი | | | | თამარაშვილი ინესკელიძე მაშუკაძე ბერიძე ბეშოძე ბეზერაძე ლიშაძე ტატაშვილი კოტაძე გენჯილაძე ტოსოძე მარიკელი ყალაყელაძე სვანიძე თურქაძე მეტეხარიძე მჭედლიშვილი ქორინაშვილი | თამარაძე მაშუკაძე ბერიძე ბეშოძე ბეზერაძე ლიშაძე ტატაშვილი კოტაძე გენჯილაძე მარიკელი ყალაყელაძე სვანიძე თურქაძე მეტეხარიძე მჭედლიშვილი ქორინაშვილი | თამარაძე მაშუკაძე ბერიძე ლუშაძე დეშო-ოვლი |
| კაბონინ-ოვლი | | | ტოსო-ოვლი | ტოსო-ოვლი | | | | სვანიძე |
| ქარელი-ოვლი | | | ტოსო-ოვლი | | | | | შანიაძე |
| ბეკონინ-ოვლი | | | | | | | | ჩხეიძე |
| მაიონინ-ოვლი | | მაიო-ოვლი მუთი-ოვლი | მუთი-ოვლი მახან-ოვლი რუსო-ოვლი | რუსო-ოვლი | | | | ჭიჭაძე |
| | | | | | | | | რასაძე |

| 1839 | 1842 | 1850 | 1863 | 1886 | კირგალიძე 1944 | პარტ. არქივი 1936 | მუსხა მონაცემები |
|------------|------------|------------|------------|------|-------------------------------|-------------------------|--------------------------|
| ფიჭინ-ოვლი | ფიჭინ-ოვლი | | | | ფერაძე წმენაძე ბაყაყაძე | | |
| მუთინ-ოვლი | მუთინ-ოვლი | მუთინ-ოვლი | მუთინ-ოვლი | | მუთინაშვილი | | მუთინაშვილი |
| მათი-ოვლი | | | | | ფუტურიაძე | | ფანალაძე |
| კანი-ოვლი | კანი-ოვლი | კანი-ოვლი | კანი-ოვლი | | კონიაშვილი | | ბეგაძე (ზაკო-გელი) |
| შაგინ-ოვლი | | | | | | | ჩანთი-გელი (ჭანტურია) |
| ჩარო-ოვლი | ჩარო-ოვლი | | | | | | |
| იხო-ოვლი | თაგმა-ოვლი | | მარდე-ოვლი | | | ჩიქე-ოვლი | |

| 1839 | 1842 | 1848 | 1850 | 1863 | 1873 | 1886 | ბოჭორიძე 1932 | კარგალიძე 1944 | მესხია მონაცემები |
|--|---|----------|---------------------------------------|------------------------|---------|---------|------------------|-------------------|--|
| მცხეთა-ოილი მუთი-ოილი მუთი-ოილი მუთი-ოილი აბო-ოილი | მცხეთა-ოილი მუთი-ოილი მუთი-ოილი აბო-ოილი | აბო-ოილი | მცხეთა-ოილი მუთი-ოილი გაბი-ოილი | რესო-ოილი მუთი-ოილი | ბაქრაძე | ბაქრაძე | ზუციშვილი | ზუციშვილი 1944 | ზუციშვილი ზუციშვილი კოხნაძე ჭანჭურაძე მეშინაძე მაკარიძე ჭანჭურაძე კინაძე აბუა-ოილი მოკლე-ოილი აჭულა-ოილი ფუშკა-ოილი |

ბარათაშვილების საგვარეულო გენეალოგია

მოგვითხრობს ლატიფშა ბარათაშვილი:

"ამ გენეალოგიურ ცხრილზე მუშაობა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოო სახე 1942 წ. მიიღო. გარდა ჩემი გვარის გენეალოგიისა, მე შევისწავლე ჩემი თანასოფლელების გვარების წარმოშობის ისტორია და საბოლოო ჯამში რამდენიმე ათეული გენეალოგიური ცხრილი შევადგინე. ისინი დღესაც ჩემ არქივში ინახება. მათ შედგენაზე აძლენი იმიტომ ვიმროძე, რომ ჩვენმა შთამომავლობამ იცოდეს თავისი წარმომავლობა, იცოდეს თავისი ფესვები, თავისი მოდგმა, სადაც უნდა ცხოვრობდნენ და რა გვარსაც უნდა ატარებდეს.

გვარის გადაცემა თაობიდან თაობაზე - უძველესი ტრადიციაა. გვარის საშუალებით ისტორიკოსებს შეუძლიათ ადადგინონ ამა თუ იმ პირის მთელი საგვარეულო ნუსხა. ბარათაშვილების გვარი დიდი ხანია არსებობს, და რაკი ერთხელ შეერქვა ჩვენს წინაპარს, მას შემდეგ არ შეცვლილა საუკუნეების განმავლობაში.

1578 წ. მუსტაფა-ლალა ფაშამ დაიპყრო მესხეთი. დაპყრობილ მიწაზე რომ განეპტკიცებინა თავისი უფლებები, მან შემოიღო მოსახლეობის აღწერის წიგნი. მისი სახელწოდებაა: "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". დავთარის 51-ე გვერდზე სოფ. უდეს ერთ-ერთი ოჯახის თავად დასახელებულია "ბარათა შურადი".

ამრიგად ჩვენი გვარის წარმოშობის თარიღად პირობითად 1578 წ. ითვლება, როცა მესხეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანული აღმსარებლობის იყო.

მოგვიანებით, დაახლოებით 147 წლის შემდეგ ქრისტიანმა ბეჟანა ბარათაშვილმა მიიღო მაჰმადიანობა. ახალი სარწმუნოების მიხედვით მისი სახელი გახდა მუჰამედი. ჩვენ სწორედ ამ ბეჟანა-მუჰამედის შთამომავლები ვართ.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება იმერეთის სამეფოს, აგრეთვე გურიისა და ოდიშის სამთავროების დოკუმენტები. იმ განყოფილებაში, რომელიც 1466-1700 წლებს მოიცავს, 142-ე გვერდზე ამოვიკითხე შემდეგი: "ამიტომ ამ მუჰამედს, რომელსაც ადრე ბეჟანა ერქვა, ზურაბ ბარათაშვილის ძეს, გამაჰმადიანების გამო, უფლება აქვს ფლობდეს ყველა იმ მამულს და ქონებას, რომელიც ადრე მის მამას, პაპას და პაპის მამას ეკუთვნოდა." ჩვენი გვარის გენეალოგია სწორედ ამ პირთა სახელებით იწყება.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ბეჟანა მდიდარი კაცი იყო და თავის მეძველედებს დიდი მამულები დაუტოვა. სოფ. წისე, მინდვრები სოფ. არალში, კეპრიბაშის ბაღები, ჩოკაურის წისქვილები და სხვა.


ხ. ახვლედიანის წიგნში "აჭარის მოკლე ისტორია" არის ასეთი ადგილი:

საქართველოს ადგიანის რაიონის ბარათაშვილების

ამ სქემის პირი ჩაბარებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 1968 წ. 25 მაისს

პროფ. სერგი ჯიქიას შრომაში: "გურჯისტანის ვილაიეთის რეესტრი" დადასტურებულია, რომ XVI საუკუნეში ახალციხის საფაშოს სოფ. უდეში არსებობდა ბარათაშვილების გვარი (ტ.ი. გვ. 51)

ბარათაშვილების გვარის არსებობა დასტურდება აგრეთვე 1886 წ. "ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის საოჯახო სიებით" (ტფილისის სახაზინო პალატა, ფონდი 254, აღწერა 3, სარქივო №1852)



1930 წ. ნიაზი გადასახლდა სოფ. ვანში (თურქეთი)

1900 წ. იბრაჰიმი გადასახლდა თურქეთში ბურსას ოლქში ინაგელის რაიონში


1877 წ. უზაირი გადასახლდა სოფ. ტბეთში (შავეთის მაზრა, თურქეთი)

მარცხნიდან მარჯვნივ - უფროსიდან უმცროსისაკენ
★ - დიდ სამამულო ომში (1941-1945) დაღუპულები

სოფ. უდის ბინადარი ბენალოგია

(შედგენილია 1942 წ.)

ზურაბ ბარათაშვილი



1944 წლამდე სალაზის უახლოესი ნათესავობის ერთი ნაწილი ცხოვრობდა ს. ქვედა ენთელში, მეორე ნაწილი - სოფ. ბოლაჯურში. მათ დიდი ხანია დაკარგეს საკუთარი გვარი

"...შეიხ-ულ-ისლამნი ქართველ მაჰმადიანთა შორის თითებზე ჩამოსათველი ყოფილან. ცნობილი არიან შემდეგი პირები: ხერხეულიძე არდაჰანიდან - 1780 წელში, ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე - ზენდიელი - 1830 წ., ყადი ხოჯა ბარათაშვილი - 1805 წ." (ტ.1, გვ.11. ბათუმი, 1944).

ახალციხის მაზრის სოფ. უღეში ქართველი მაჰმადიანების ბარათაშვილების არსებობა დასტურდება ერთ-ერთ სტატიაში წიგნიდან "წერილები ქვაბლიანიდან". იქ ნათქვამია: "უღეში არის საგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც 80 მოსწავლე სწავლობს. მათ შორის არის ერთადერთი მაჰმადიანი ბიჭი გვარად ბარათაშვილი." ლაპარაკია ჩემს ბიძა მალიქმახზე.

ბეჟანა-მუჰამედს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი - დურახი (აბდურაჰმანი) და სალახი. დურახსაც ორი ვაჟი ჰყავდა - დედე-ალა და ქორ-ალი. დედე-ალას ხუთი ვაჟი ჰყავდა, საშუალო იყო ისკანდერი. ისკანდერს 3 ვაჟი ჰყავდა და მათ შორის მამაჩემი მაქსუდი. მამაჩემსაც სამი ვაჟი ჰყავდა - მე და ჩემი ძმები - ბათალი და ფაჰრედინი. ჩვენც გაგვიჩნდა შვილები...

ამრიგად, ბარათაშვილების გვარი სოფ. უღედან, დაწყებული ზურაბიდან, დაბადებული XVII საუკუნეში, დამთავრებული ჩემ ვაჟიშვილ მარატამდე, დაბადებული 1954 წ., 9 თაობას ითვლის, ე.ი. ჩვენ გვარში ყოველ 28 წელს იცვლებოდა თითო თაობა. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე თვლის, რომ ადამიანთა მოდგმაში დაახლოებით ყოველ 30 წელს იცვლებიან თაობები.

ჩვენი უშუალო წინაპრის დედე-ალას შთამომავლები იწოდებიან "დედელებად", ხოლო ყჩაღის შთამომავლები "ყოჩაღილებად". სალახის შთამომავლები სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობდნენ, მათ გვარი დაკარგეს. მოგვიანებით ისინი იწერებოდნენ, როგორც "ჯურელები".

გენეალოგიური ცხრილი და შეგროვილი მასალა ცხადად ადასტურებს, რომ ჩვენი გვარი ადგილობრივი წარმოშობისაა.

ჩვენ არ ვართ გარედან მოსულები, მით უმეტეს არ ვართ თურქები. ჩვენ მკვიდრი მოსახლეობა ვართ, ქართველები, მესხები, რომლებმაც გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე მივიღეთ მაჰმადიანობა.

1944 წ. ნოემბერში ჩვენ სწორედ მაჰმადიანური აღმსარებლობის გამო დაეზარაღდით. სამცხე-ჯავახეთის მთელი მაჰმადიანური მოსახლეობა გასახლებულ იქნა მკვიდრი საცხოვრებელი ადგილიდან და გაფანტული - შუა აზიაში "თურქის" და "ხალხის მტრის" იარლიყით.

ასევე, ბარათაშვილების მოდგმაც გაიფანტა ღუნიანზე. უზეირისა და იბრაჰიმის შთამომავლები თურქეთში არიან. სალახის შთამომავლები გვარის დაკარგვის გამო გაუჩინარდნენ თვალთახედვიდან. დანარჩენი ბარათაშვილები პიროვნების კულტის პერიოდში გაიფანტნენ შუააზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში.

სიკვდილის წინ მამაჩემმა მაქსუდმა მიმართა საქართველოს მთავრობას

თხოვნით, ნება მიეცათ დამარხულიყო მშობლიურ მიწაში, მაგრამ თხოვნაზე უარი მიიღო.

ასე, რომ დღემდე არა აქვს ყველა ბარათაშვილს მშობლიურ მიწაზე ცხოვრებისა და დამარხვის შესაძლებლობა."³

სოფ. უღის მაჰმადიანი მოსახლეობის ქართული გვარები

"... ადიგენის რ-ნის სოფ. უღეში 1944 წლამდე ცხოვრობდა მაჰმადიანი ქართველთა 9 საგვარეულო ქართული გვარებით: აბულაძე, ბაქრაძე, ბარათაშვილი, ბერიძე, კანჭაძე, კიკნაძე, პეტაშვილი, სარაჯიშვილი, ჩილაშვილი...

XVIII საუკუნემდე სოფ. უღეში მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნეში პოლიტიკური და სამხედრო გარდაქმნების შემდეგ უღეში მცხოვრები 50 გვარიდან 10 გვარის ოჯახმა მიიღო მაჰმადიანობა, 40 - კათოლიკობა.

მაჰმადიანები სასულიერო განათლებას იღებდნენ არზრუმში, ყარსში და სტამბოლში. კათოლიკეები - სტამბოლში.

1895-1907 წ.წ. მღვდელ იოსებ ჩილაშვილის ინიციატივით სოფ. უღეში ააშენეს კათოლიკური ეკლესია რომაულ სტილში. მაჰმადიანების სულიერმა წინამძღვარმა ძოლა ეიბ ჩილაშვილმა ორგანიზება გაუკეთა მეჩეთის მშენებლობას.

...დაახლოებით 1760 წ. სოფ. უღეს მცხოვრებმა ვარდო ჩილაშვილმა მიიღო მაჰმადიანობა და სახელი გიულად გადაიკეთა ("გიული" - თურქულად ვარდს ნიშნავს). გიულის 5 ვაჟი ჰყავდა. მის ერთ-ერთ შვილიშვილს ალიმანს (უფროსი ვაჟის რასულის შვილი) მეტსახელად "კანჭლი"(ქართული სიტყვიდან "კლანჭი") შეარქვეს. მასზე ამბობდნენ, რომ ნიჭიერია, მოხერხებული, მარჯვე, ყოჩაღი, გამჭრიახი. ალიმანის შთამომავლობამ მიიღო გვარი კანჭაძე. ერთმა მათგანმა იყიდა მამული სოფ. წარბასთუბანში და იქ დასახლდა. გიულის მეორე შვილიშვილი - ეიბი (შუათანა შვილის ომარის ვაჟი) იყო ძოლა და შეინარჩუნა ძველი გვარი ჩილაშვილი.

ამრიგად, ერთი ქრისტიანული გვარი - ჩილაშვილი სოფ. უღეში გაიყო ორად და წარმოიშვა მაჰმადიანი ჭილაშვილები, შემდეგ მაჰმადიანი კანჭაძეები.

...როცა სოფ. უღეში მცხოვრები მაჰმადიანი ბაქრაძეების გენეალოგიას ვადგენდით, ამ საქმეში დახმარება გამიწია ამ საგვარეულოს უზუცესმა ხალილ მირზა ოღლი ბაქრაძემ.

მისი ზეპირი გადმოცემით დაახლოებით 1765 წ. ქ. ახალციხიდან სოფ. უღეში გადმოსახლდა ერთი ახალგაზრდა კაცი სახელად იოსებ ბაქრაძე. როგორც ამბობენ, ერთ, ხანაზას იგი მნათედ მსახურობდა უღეს ეკლესიაში, თავს ირჩენდა მრევლის შემოწირულობით. მის შთამომავლებს მეტსახელად "მოლოზან-გილ"

(მონაზონთა მოდგმა) შეარქვეს. მოგვიანებით იგი გამაჰმადიანდა და სახელად ისა დაირქვა, ხოლო გვარად მოლოზნიანთი დაიტოვა (მოგვიანებით "მოლოზნი-შვილი").

ახლად გამაჰმადიანებულ ისა მოლოზნიანთს ქ. ახალციხეში დარჩა ქრისტიანი ძმა გიორგი და ძმიშვილი ლუკა. ლუკა ყოველ შემოდგომაზე ჩამოდიოდა უდემში თავის მაჰმადიან ბიძასთან, სადაც მას სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ატანდნენ ახლობლები.

ისას ორი შვილიშვილი ჰყავდა: უფროსი - საიდი, რომლის შთამომავლობასაც "საიდ-გილი"-ი შეარქვეს, უმცროსი - ჰუსეინი. მისმა შთამომავლობამ კი შეინარჩუნა გვარი "მოლოზნიანთი".²

"თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიების" (1886 წ.) თანახმად სოფ. უდემში №120 ოჯახის თავად ითვლება სული საიდ ოღლი მოლოზნიანთი, 45 წლის, ქართველი, მაჰმადიანი-სუნიტი. №121 ოჯახის თავად კი - ებ უსეინ ოღლი მოლოზნიანთი, 38 წლის, ქართველი, მაჰმადიანი-სუნიტი.

"...რაც შეეხება გვარს "აბულაძე", სოფ. უდეს უხუცესების მონათხრობის მიხედვით, ეს გვარი იწყება და-ძმა ელენე და ვანოლან, რომლებიც უდემში ჯავახეთიდან, მთა აბულის ძირიდან გადმოსახლდნენ. ელენეს შთამომავლობამ კათოლიკობა მიიღო, ვანოს შთამომავლობამ, კერძოდ მისმა ვაჟმა მეტიმ კი - მაჰმადიანობა და ასე გაჩნდნენ სოფ. უდემში მაჰმადიანი აბულაძეები.

შემდეგ აბულაძეები გაიყვნენ - მაჰმადიანმა აბულაძეებმა მეტსახელად "მეტი-გილი" (მეტის მოდგმიდან) მიიღეს, მცირე ნაწილმა, ვანოს შვილიშვილის ჰუსეინის შთამომავლობამ კი "ადოლ-გილი" (ადოლის მოდგმიდან).²

იგივე "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიების" (1886 წ.) თანახმად სოფ. უდემში №154-დ ჩაწერილია ოჯახის თავი ყოჩი ოსმან ოღლი მეტიშვილი (მეტი აბულაძის შვილიშვილი). ამავე სიების მიხედვით №210-დ ჩაწერილია კომლის უფროსი ალი უსეინ ოღლი ადოლაშვილი, 51 წლის, ქართველი, მაჰმადიანი-სუნიტი (მეტი აბულაძის მეორე შვილიშვილი).

(სარქივო ნომერი 1852).

"...მაჰმადიანი პეტაშვილების გენეალოგიის შედგენისას მომეხმარნენ მოხუცები - მაჰმადიანი ალი იშიზ ოღლი პეტაშვილი და ქრისტიანი პეკა-სტეფანე ჩავუშ ოღლი პეტაშვილი.

მათი მონაცემების მიხედვით 1730 წ. ახალციხიდან უდემში ჩამოვიდა ორი ძმა - ქრისტიანები ყაზრო და პეტრე პეტაშვილები. ყაზროს შთამომავალი არ ჰყავდა, მის ძმას ჰყავდა ორი ვაჟი. უფროსი, სახელად ბერნადე 1760 წ. გამაჰმადიანდა და მიიღო ახალი სახელი - არიფი. რასულ*ალი ოღლი პეტაშვილის მონაცემებით პეტაშვილთა გვარი სოფ. უდემში ორად, ქრისტიანებად და მაჰმადიანებად გაიყო. პეტაშვილების ერთი შტო გახდა ჩავუშ-ოღულლარი. აი

რატომ: ოსმალების ბატონობის დროს არიფის ძმიშვილი ქრისტიანი პეტრე სოფლის თავი იყო - სერჟანტი (თურქულად "ჩავუშ"), ამიტომ მის შთამომავლებს უწოდეს "ჩავუშ-ოღულლარი" (ჩავუშის შვილები), თუმცა ისინი ქრისტიანები იყვნენ. 1917-1921 წ.წ., მათ სიტყვა "ჩავუშ" თარგმნეს ქართულად და გახდნენ "გზირიშვილები".

მაჰმადიანი პეტაშვილები ცხოვრობენ სოფ. უდეს დასავლეთ ნაწილში (რომელსაც "დერე მახლესი" ეწოდება), ქრისტიანი პეტაშვილები კი - სოფლის სამხრეთ ნაწილსა და ცენტრში - დიდი ეკლესიის მახლობლად.

10-30/III1943წ."2

ცოცხალი მოწამეები

ნური ხოსაძე, 43 წლის: "წარმოშობით ასპინძის რ-ის სოფ. ზედა ოშორადან ვარ, 6-7 წლის ასაკში მამაჩემის ბიძასთან, მილიაზთან (გარდაიცვალა 1987 წ.) ვმწყემსავდი საქონელს. მოხუცებისაგან ბევრს ისწავლი. აი მაგალითად, მოხუცები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჩვენ ვართ ქართველებიდან გამოსული მაჰმადიანები. ჩვენი გვარი დიდია, ისე დიდი, რომ რამდენიმე დამოუკიდებელ გვარად დაიყო.

ჩვენი ძირითადი გვარია ხოსაძე. პაპა მილიაზი ამბობდა, რომ ადრე ჩვენი გვარი შედგებოდა 5 ძმისაგან. შემდეგ ისინი გაიყვნენ და თითოეულმა ახალი გვარი წარმოშვა: ბექირ-გილი, სული-გილი, დრინგო-გილი, ხოკი-გილი და ჩეჩო-გილი. ხოსაძეების მოდგმა ძალიან გაიზარდა და ვეღარ ეტყოდა თავის სოფელ ზედა ოშორაში. ამიტომ ხოკი-დედე ("დედე" - პაპას ნიშნავს თურქულად. კბ.) და დრინგო-დედე გადადიან ქვემო ოშორაში, იქ უკვე ახალი გვარებით იწერებიან: ხოკიშვილი და დრინგოშვილი. ეს ხდება დაახლოებით 1700 წ.

1930-იან წლებში ჩვენი მოდგმის გვარი იყო ბექირაშვილი. მილიაზ პაპა ყვებოდა: "1944 წელს გასახლების მომენტში, სწორედ იმ დროს, როცა აყრილები და გამზადებულები ვიყავით წასასვლელად, ჩვენთან მოვიდა ერთი პოლკოვნიკი - ქართველი. ჩვენ ბარგის ჩალაგებით ვიყავით დაკავებულები. იგი მოგვიახლოვდა და ქართულად გვკითხა - რა გვარისანი ხართო? მე ვუპასუხე - ბექირაშვილი. არა, რა იყო თქვენი ძველი გვარი? მე ვუპასუხე - ხოსაძე. იგი ატირდა, მომეხვია და გადაამკოცნა. შენ ჩვენი ძმა ხარ, მითხრა მან, ჩვენი მოდგმისა ხარ, რამდენი წელი გეძებდით თქვენ, ხოსაძეებს, ახლა კი საკუთარი ხელებით გასახლებთ აქედანო. ეს კაცი ქართველი იყო, ქრისტიანი."

სხვა რამეებსაც ყვებოდა პაპა. ჩვენი წინაპრებიდან ერთი ძმა ხოსაძე გამაჰმადიანდა, მეორემ დასავლეთ საქართველოში გაქცევა არჩია. მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ქუთაისის რაიონში, ქრისტიანები არიან. 1920 წლამდე ისინი ერთმანეთთან სტუმრად დადიოდნენ - ქრისტიანები და

მაჰმადიანები. რაც შეეხება ჩვენ მაჰმადიან წინაპარს - ის იყო სულითა და ხორციით ძლიერი - გარდაიცვალა 1926 წ. 125 წლის ასაკში და მთელი ამ ხნის განმავლობაში სათავეში ედგა თავის მოდემას, ყველანი ულაპარაკოდ ემორჩილებოდნენ მას. მაგალითად, 1919 წ. მეზობელ სოფ. იღუმალადან მოსახლეობამ თურქეთში გადასახლება გადაწყვიტა. ჩვენებსაც მოუნდათ იგივეს გაკეთება. ღრმად მოხუცებული გვარის მეთაური წინ აღუდგა მათ სურვილს, აუკრძალა თურქეთში გადასახლება, რადგან იგი მოესწრო მათ ბატონობას - დაახლოებით 30 წლის იყო, როცა ეს მიწა თურქებისაგან გათავისუფლდა. ჩვენები ადრეც აპირებდნენ თურქეთში გადასახლებას - ეს იყო 1898 წ., მოხუცმა მაშინაც არ გაუშვა ისინი.

როდესაც ჩვენ გაგვასახლეს ყაზახეთში, იქ ძალიან მძიმე ცხოვრება გვქონდა, ვშიშვლობდით. აი, მაშინ, ჩვენი მოხუცები ამბობდნენ - ეჰ, ტყუილად დავუჯერეთ პაპს და არ წავედით თურქეთში, ამ ტანჯვას მაინც გადავურჩებოდითო.

დღეაჩემი წარმოშობით ქვედა ომორადან იყო. დღემდე ჩემი ბიძა - დედის ძმა, იგი სამარყანდში ცხოვრობს - ატარებს ქართულ გვარს - ჭუჭყულაძეს. დღეაჩემსაც დოკუმენტებში ეს გვარი უწერია. მაგრამ, აი, ჩემი ბიძაშვილები უკვე აბასოვებად იწერებიან, მამის სახელის მიხედვით. მე ვკითხე მათ - რატომ გააკეთეთ ეს, რატომ დაკარგეთ თქვენი გვარი მეთქი? უზბეკები თავისი წესის მიხედვით მოგვექცნენ, ჩვენ არაფრის გაკეთება შეგვეძლო - იყო პასუხი. მოხუცები ისევ თავის გვარზე - ჭუჭყულაძეზე - იწერებიან."

(18.05.96. საქართველოს ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაკირალი)

"თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიების" მიხედვით 1886 წლისათვის სოფ. ზედა ომორაში დაფიქსირებულია გვარები ღრინგოშვილი და ჩეჩეშვილი. სოფ. ქვედა ომორაში კი - ჭუჭყულაშვილი, ხოკიშვილი, ღრინგოშვილი.

საიდ კურიშანოვი, 46 წლის: "დავიბადე უზბეკეთში, იქვე ვსწავლობდი, პროფესიით ინჟინერი ვარ. 1989 წლიდან მოზღოკის რ-ში ვცხოვრობ. წარმომავლობით ადიგენის რ-ის სოფ. საირმედან ვართ. მოხუცების მონაყოლის მიხედვით, აგრეთვე ჩვენ ხალხში შემორჩენილი გვარების გათვალისწინებით, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ადრე ჩვენ ყველას ქართული გვარები გვქონდა. და, როგორც მოხუცები ამბობენ, ქართველობიდან მაჰმადიანობაზე გადავედით. მაგალითად, მე ვიცი გვარები: დვალიძე, პაპიძე - საირმედან; კიკნაძე, ბარათაშვილი - უდედან. უზბეკეთში მე ვიცნობდი მუსტაფა ბარათაშვილს. იგი სკოლის დირექტორი იყო, კიდევ კადიმ ბარათაშვილს. ისინი უდედან იყვნენ, როგორც უკვე აღვნიშნე მამის მონაყოლის მიხედვით, ჩვენი გვარი იყო ფუტკარაძე.

მაგრამ უზბეკეთში გვარები გადავიკეთეს, თითქმის ყველას დაგვიმატეს ბოლოსართი "ოვი" ან მამის სახელის მიხედვით - "ასეთი და ასეთი ოლლი".

(09.06.96 ვოლგოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა უსტ-პოგოვი).

მიხამ მაშედოვი, 39 წლის: "ჩვენი ნათესავი დედის მხრიდან წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. ფერსადანაა. მისი გვარია ჩახალიძე. უზბეკეთში ცხოვრებისას, მასთან სტუმრად ყოფნისას მასპინძლები ერთმანეთში ლაპარაკის დროს მოულოდნელად გადადიოდნენ ქართულ ენაზე. მე ეს მიკვირდა. მე თვითონ ქართული არ ვიცოდი, უზბეკეთში დავიბადე, წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. ჩურჩუტოდან ვარ. სახლში ჩვენებს ვკითხე, ეს ჩვენი ნათესავები ქართულად რატომ ლაპარაკობენ-მეთქი. იმიტომ, რომ ისინი უხსოვარი დროიდან ქართველები იყვნენო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა მაჰმადიანურ რელიგიურ წესებს ასრულებდნენ - ნამაზი, რამაზანი და ა.შ. ისინი დღესაც მშვენივრად ლაპარაკობენ და კითხულობენ ქართულად, ქართულ გაზეთებსაც იღებენ, თუმცა ისევ უზბეკეთში ცხოვრობენ. ჩვენი ნათესავის სახელი და გვარია ზია ჩახალიძე."

(12.05.96. სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარი)

"...ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც მამა ატარებს ქართულ გვარს, შვილი კი არა, სამოსახლო სამეურნეო წიგნში, სამხედრო საბუთებში მოსამსახურეები პასპორტებში ჩაწერილი არიან თათრულ გვარათ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ თავისი და მამის სახელით. ასე მაგალითად: აწყურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და მისი ძმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფ. წოხტევში იწერებიან ალიევად, მამა კი ჩხეიძედ. სოფელ აწყურის საშუალო სკოლის დირექტორი იწერება თაიროვად, მამა კი მესხიძედ და სხვა.

სხვათა შორის ზემოხსენებულ ამხანაგებს სურთ შეიტანონ ცვლილება პარტიულ საქმეებში გვარების მხრივ, მაგრამ ამ საქმეს აფერხებს ჯერჯერობით ის, რომ მათ პასპორტებში და სამხედრო საბუთებში შეუძლებელი ხდება შესწორების შეტანა ზემდგომი ორგანოების მითითების გარეშე.

...ხშირად ერთი და იგივე პიროვნების გვარი ცვალებადობაში იყო, ან სწორად რომ ითქვას შეგნებულად უკარგავდნენ ქართულ გვარს. ასე მაგალითად, აგარის სასოფლო საბჭოს მდივანი გვარამაძე ჯუმალი კომკავშირში შევიდა 1924 წ. როგორც გვარამაძე ჯუმალი ჩახალ ოლლი, მაგრამ როდესაც 1931 წ. პარტიის კანდიდატად მიიღეს ქართული გვარი არ ჩაუწერეს და "მონათლეს" ჯუმალი ჩახალ ოლლად ეროვნება კი "თურქი". ეს მავნებლური სიმამხინჯე შესწორებული იქნა 1938 წ. მან თავისივე თხოვნით თავისი გვარი და აგრეთვე ეროვნებაც დაიბრუნა, ჩავაწერინა გვარამაძე ჯუმალი ჩახალის ძე, ეროვნება ქართველი. ამის შესახებ მან შემდეგი განუცხადა საქართველოს განათლების

სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს: "...ასეული წლობით შენარჩუნებული გვარი კინალამ არ დამიკარგეს... ესლა კი გვარიც დავიბრუნე და ჩემი ნამდვილი ქართული ეროვნებაც"⁸

ბახში ვალუსტოვი, 70 წლის: "ამ დღეებში კურორტზე შევხვდი ახალგაზრდას, რომელიც ცხოვრობს მულანში (აზერბაიჯანში - კ.ბ.). მისი გვარია ბაქრაძე. ის გვარის შეცვლას აპირებს. უფროსმა ძმამ უკვე გამოიცვალა. იძულებულნი არიან ეს გააკეთონ, რადგანაც მათ საყვედურობენ, შენიშვნებს აძლევენ: "თურქები ხართ, და როგორ შეიძლება ატაროთ გვარი "ბაქრაძე!"

მე ვიცნობდი მამამისს. ჩვენ ერთ საბჭოთა მეურნეობაში ვცხოვრობდით ანდიჟანის ოლქში (უზბეკეთი - კ.ბ.). ის ატარებდა ქართულ გვარს და არავინ საყვედურობდა ამისათვის. მე მშურდა მისი - მას თავისი გვარი აქვს, არ დაკარგა. აი, შეილება კი იცვლიან. რა საწყენია! ბოლო აღწერის დროს ზომ იგი თურქად ჩაეწერა, აგიტატორები დადიოდნენ სახლებში და ყველას აფრთხილებდნენ, თურქებად ჩაწერილიყვნენ."

(31.01.89. წერილი ესენტუკიდან)

ალიზან ყურაძე, 58 წლის: "წარმოშობით აბასთუმნიდან ვარ. საერთოდ, ჩვენ აბასთუმნის მკვიდრნი არა ვართ. ჩვენ ვართ კურორტ აბასთუმნიდან ჩამოსახლებულნი. 1895 წ. ჩვენი ორი წინაპარი გადასახლდა თურქეთში. ორი წლის შემდეგ ერთი მათგანი - მამაჩემს პაპა - უკან ბრუნდება, მაგრამ მათი სამოსახლო უკვე გაპარტახებული იყო, ამიტომ დიდი პაპა დასახლდა ცოტა უფრო ქვევით - სოფ. აბასთუმანში.

ჩვენს მოდემას ყურადა-გილს უწოდებდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვხვდებოდი რას ნიშნავდა "ყურადა", მაგრამ როგორც კი 1972 წ. საქართველოში დაბრუნდი და მაშინდელი მასწავლებლის საბჭოთა მეურნეობაში დავსახლდი, მანამდე ჩემთვის უცნობ ქართულ ენასთან შეხებამ ნათელი მოჰყინა ამ სიტყვის მნიშვნელობას. ვფიქრობ, რომ იგი მოდის ქართული სიტყვისაგან "ყურადღება". ალბათ ჩვენი გვარი ნიშნავდა ყურადღებიან კაცს... მოგვიანებით რადიოში მოვისმინე გადაცემა ასპინძის რ-ში მცხოვრები ტრაქტორისტის შესახებ, რომლის გვარიც იყო "ყურადაძე". მივხვდი, რომ, რადგანაც მესხეთის მკვიდრი ატარებს ამ გვარს, აქ საეჭვო არაფერია - ჩვენი გვარიც ეს იქნება. სამწუხაროდ, გვარის აღდგენის დროს შეცდომით ჩავაწერინე გვარი - ყურაძე და არა ყურადაძე.

რაც შეეხება ქართულ გვარებს, რომლებიც შეინარჩუნა ჩვენმა ხალხმა... რატომ შეინარჩუნა ასე გულმოდგინედ: განა შეიძლება ძალად თავსმოხვეული ასე ხანგრძლივად შეინარჩუნო? თუ ეს გვარები თავსმოხვეული იყო, სომ

შეიძლება შემდეგ მოგვემორებინა ისინი? მაგრამ ნახეთ - ყველა ოჯახში იციან თავისი მოდემის სახელი, გვარები, ე.ი. ეს ჩვენს სისხლშია გამჯდარი და თაობიდან თაობას გადაეცემა. აქ არ შეიძლება რაიმე ფალსიფიკაციას ჰქონდეს ადგილი, ჩვენ ნამდვილი ქართველები ვართ. მაგრამ არა ქრისტიანი ქართველები, არამედ მაჰმადიანი ქართველები.

1876 წ. ჩვენ წავედით ადიგენის რ-ში დაკარგული გვარების მოსაძებნად. სამხედრო კომისარიატში გვიჩვენეს ოშში გაწვეულთა სიები. ძალიან საინტერესო სიები იყო. მაგალითად, სოფ. კეზოვანი. დასაწყისში წერია: "ზოზრევანიძე ასლანი", შემდეგ ჩაწერილია ამ სოფლის ყველა ზოზრევანიძე, მაგრამ გვარის გარეშე გვარის ადგილი ცარიელია. გვერდით კი სახელი და მამის სახელია მიწერილი. ასე, დაახლოებით 20 კაცია ჩაწერილი, შემდეგ მოდის სხვა ქართული გვარი და ზუსტად ასევე - ქვემოთ მიწერილია ამ გვარის მატარებელთა მხოლოდ სახელები და მამის სახელები.

ძალიან გაგვაკვირვა ამან და ვიკითხეთ, რატომ არის ასე? გვიპასუხეს, რომ ასეთი ორმაგი პოლიტიკა იყო, შედეგებისაგან თავი რომ დაგვეზღვია. თუ უცებ დაიწყება ძიება, რატომ გადასახლეს თურქები, ჩვენ უპასუხებთ, ქართველები გავასახლეთ-თქო, ნახეთ მათ სუყველას ქართული გვარები აქვთ. თუკი პირიქით დაისძება საკითხი - ქართველები რატომ გაასახლეთო - მაშინ პასუხი იქნება - ისინი ყველა თურქები იყვნენ. ხედავთ, აქ მხოლოდ ერთი ზოზრევანიძე ასლანია ქართველი, დანარჩენები თურქები იყვნენ.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი დეპორტაცია წინასწარ საგულდაგულოდ იყო მომზადებული. აი, გვარებსაც გვართმევდნენ. ჩემს განსვენებულ ბიძას ჯუმალს - იგი სოფ. სვირიდან იყო - 1952 წ. წაართვეს ქართული გვარი. ეს იყო ბუხარაში. მისი გვარი იყო მჭედლიშვილი. იგი ჩაწერეს ჯუმალ მურსალოლად. მოგვიანებით იგი ჩავიდა სოფ. სვირში, რათა მოენახა დოკუმენტები და აღედგინა გვარი. ეძება, საწყალობა, მაგრამ ვეღარაფერი იპოვა. სოფლის მმართველს ჩანაწერებიც კი განადგურებული იყო. არადა, ზომ ცხოვრობდა ეს კაცი 1944 წლამდე სოფ. სვირში და ატარებდა მჭედლიშვილის გვარს. სად გაქრა ეს გვარი? ვერც ერთი დოკუმენტი ვერ აღმოჩინა."

(18.05..96. ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაკირალი)

მარვა ქინდიევი, 61 წლის: "წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. საყუნეთიდან ვარ. საქართველოში ყოფნისას, ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ჩვენი ოჯახი ატარებდა გვარს - ქინდელაძე. ძალიან საინტერესოა მისი წარმოშობის ისტორია. პაპაჩემმა შეიყვარა ქალიშვილი ჯავახეთის სოფ. ქილდადან და მოიტაცა იგი. ეს ამბავი ისე დაამახსოვრდათ თანასოფლელებს, რომ ჩვენს მოდემას შეარქვეს "ქინდელა-გილი", აქ "ქილდა" "ქინდელა" შეიცვალა. ჯერ უბრალოდ ქინდელა-

გილი, მოგვიანებით - ქინდელაძე. შემდეგში, გადასახლებაში ყოფნისას ჩვენ გვარს ქინდიევად წერდნენ. და დღემდე ამ გვარს ვატარებთ. საერთოდ კი, ჩვენი ძველი გვარი იყო ტაბატაძე. ჩემი "აბლა" - ბიცოლა - ქართველი ქრისტიანია, მისი და სონა დღესაც ცოცხალია და ცხოვრობს სოფ. წყორძაში. მასთან სტუმრად ყოფნისას დეიდა სონამ მკითხა: "მარვა, თქვენი ძველი გვარი დამავიწყდა. ვიცი, რომ ძალიან კარგი გვარი იყო, მაგრამ რომელი - არ მახსოვს; მე ვუთხარი: "დეიდა, ნუთუ მართლა გადაგავიწყდათ?" "ვფიცავ, მართლა. იქნება შენ გახსოვს?" მე ვუპასუხე: "რასაკვირველია, მახსოვს. ჩვენი ძველი გვარი იყო ტაბატაძე." თუ შესაძლებელი იქნება, მე აღვიდგენდი ამ გვარს."

(12.05.96. სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარი)

ზაქარ ცაცანიძე, 60 წლის: "წარმოშობით ადიგენის რ-ის სოფ. ღაღვიდან ვარ. როცა ჩვენ გაგვასახლეს, მე პატარა ბიჭი ვიყავი. მამაჩემი იმ მომენტში სახლში არ იყო, თავისი ძმის სანახავად იყო წასული. ისინიც გაასახლეს. ამბობდნენ, რომ მამაჩემი მოხვდა შუაზიის ქ. ოშში, მაგრამ ვეღარ ვნახეთ. ჩვენ თვითონ ნამანგანში მოვხვდით, სასტიკი ზამთარი გადავიტანეთ. მაინც გავუძელით.

ჩვენი მთავარი პაპა, უფრო სწორად პაპისპაპა იყო შაი-დედე. მისი შვილები იყვნენ თურან-დედე და რაჯაბ-დედე, გვარად ცაცანიძეები. თურან-დედე შვილი იყო აჰმედი. ამ აჰმედის შვილი ვასიფი არის მამაჩემი ჯალალის ბიძაშვილი. მოხდა ისე, რომ ისინი გადაურჩნენ გასახლებას, უფრო ადრე დასახლდნენ ნასაკირალში, ისინი ეხლაც ნასაკირალში ცხოვრობენ. ისინიც ცაცანიძეები არიან. ჩვენ საქართველოში დავბრუნდით 1985 წ., მოვინახეთ ძია ვასიფის ოჯახი. იმ დროისათვის ძია ვასიფი უკვე გარდაცვლილი იყო. ძალიან გავიხარეთ, რომ აღმოვაჩინეთ ნათესავები. ამასთანავე გავიგეთ დაკარგული გვარი - ცაცანიძე. მაშინ მე ვატარებდი გვარად ჯალალოვს - უზბეკურ ყაიდაზე, იქ გვარები მამის სახელის მიხედვით იწერება. უზბეკეთში რომ მოვხვდით, ასე ჩაგვწერეს. თანაც სხვადასხვაგვარად. მე და ჩემი ერთ-ერთი და საფია გავხდით ჯალალოვები. მეორე და და ძმა ჩაწერეს დედის მიხედვით. დედაჩემი ადიგენის რ-ის სოფ. ნამნაურიდან იყო წარმოშობით. სახელად სულთანი. მამამისს ერქვა აზიზი. დოკუმენტების მიხედვით იგი გახდა აზიზოვა სულთანი. ამის მიხედვით ძმა გახდა - აზიზოვი ბაშატი, და - აზიზოვა პოპომა. ისინი დღემდე ამ გვარით ცხოვრობენ უზბეკეთში. ჩვენ თავს ქართველებად ვთვლით. თავის დროზე ჩვენი წინაპრები ქრისტიანობიდან მაჰმადიანობაზე გადავიდნენ. არავინ გვიკრძალავს შევასრულოთ ნამაზი და დავიცვათ რამაზანი. აქ ახლოს მეჩეთიც კი არის".

(19.05.96. ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაკირალი).

ფაზლიათ ჯანაევა, 56 წლის: "წარმომავლობით ახალციხის რ-ის სოფ. აწყურისა ვარ. თავიდან ჩვენი გვარი იყო ღონდაძე, მაგრამ შემდეგ აი რა

მოხდა. ერთ-ერთი ჩვენი წინაპარი თავისი ქორწილის დღეს გარდაიცვალა (ეს მოხდა დაახლოებით 5 თაობის წინ). მისმა ქვრივმა გააჩინა ბიჭი. ბებია მეტიხმეტი სიყვარულით ბავშვს "ჯანიკოს" უძახდა. უსახსრობის გამო ბებია იძულებული იყო მოწყალების სათხოვნელად ევლო და როცა რაიმეს მიაწოდებდნენ, ჯიბეში იღებდა და თან დააყოლებდა "ეს ჩემი ჯანიკოსათვის". ყველამ ისე მიაჩვია ყური ამ სიტყვას, რომ მათ მოდგმას ჯანაშვილი დაარქვეს. ასე გადავიქციეთ ღონდაძეებიდან ჯანაშვილებად. როცა რუსები მოვიდნენ, ჩვენ ჯანაევადა ჩაგვწერეს. დღეს ამ გვარს ვატარებთ.

რაც შეეხება ქართული ენის ხმარებას, ჩვენთან, აწყურში უკლებლივ ყველა ლაპარაკობდა ქართულად. მაგრამ უკეთესად იცოდნენ ქართული ენა სოფლებში ყამზა და ინდუსა. გადასახლებაში ყამზაზეთში ცხოვრობდით, იქვე ცხოვრობდნენ ყამზადან, ინდუსადან და ოშორადან გადასახლებულები. ინდუსასა და ყამზას მკვიდრები ყველა ქართულად ლაპარაკობდა. ჩვენ დიალექტზე უფრო კაცები ლაპარაკობდნენ, მათ უფრო უწევდათ გარეთ სიარული და ასე ისწავლეს. ქალებმა და ბავშვებმა კი, რადგანაც სულ სახლში იხსდნენ, მხოლოდ ქართული იცოდნენ. ისინი ამბობდნენ: "ოშორელებმა გვასწავლეს ყამზაზეთში თურქულად ლაპარაკი, თორემ ჩვენ მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობდითო."

(26.04.96. ხაშურის რ-ის სოფ. ცხრაშუხა)

მარვა ქინდიევი, 61 წლის: "ინდუსელები ლაპარაკობდნენ სანახევროდ ქართულად, სანახევროდ ჩვენებურად. მე ვიყავი პატარა ბიჭი, როცა მამამ თან წამიყვანა სტუმრად თავის ბიძასთან დედის მხრიდან. სანამ უფროსები ლაპარაკობდნენ, მე აქეთ-იქეთ ვიყურებოდი. ვხედავ, ჩველი ბავშვი აკვანში წევს და თავსახური შეხსნილი აქვს. იქვე გოგონა, დაახლოებით ჩემი ხნისა, ეუბნება დედამისს ჩვენ ენაზე: "აბა, ჩოჯუღ უნ თავი აჩილმომ, ბაღლა" ("დედა, ბავშვს თავი შიშველი აქვს, დაახურე..."). მან თავი ქართულად თქვა და ეს იმდენად სასაცილოდ მეჩვენა, რომ გადავიხარხარე და დავიწყე გამოჯავრება: "თავი აჩილმომ, თავი აჩილმომ..." გოგონა გაბრაზდა, გამოიწია ჩემკენ საცემრად, მაგრამ არ გაუშვეს - მე ხომ სტუმარი ვიყავი. მე კი ვაგრძელებდი: "თავი აჩილმომ, თავი აჩილმომ..."

(12.05.96. სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარი)

აი, რას წერს გ. ბოჭორიძე, რომელმაც 1932-1933 წლებში იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში:

"ინდუსას სახლობენ ქართველი მაჰმადიანები 100 კომლი. ...სოფელში ქართულს ყველა მშვენივრად ლაპარაკობს, თათრულს - უფრო კაცები, ყველანი ნახევრად ქართულს, ნახევრად თათრულს ლაპარაკობენ. უღელი ხარი წისქვილში

გიალ (მიდის), ბოლოდან ყალღურ (ასწიეო), ექვსი ბულილი, კოხტა წანტა, ტუმრების მოგაგული და სხვ."4

ბაზში გალუსტოვი, 70 წლის: "ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს სიმართლე, უნდა იცოდეს თავისი ფესვები. იშვიათად ვინმეს თუ ხვდომია წილად, ისეთი ბედი, როგორიც ჩვენ ხალხს ერგო. მიწის ყველა ნაგლეჯს თავისი სახელი ერქვა - მინდვრებს, ბაღებს, ხეობებს, ხრამებს, მთის მწვერვალებს, ნაკადულებს, ბორცვებს - ყველას ქართული სახელი ერქვა: ჭინჭველა, საცურავი, კლდეკარა, კლდეძერა, სათავე, პეტრული და ა.შ. საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს სახელწოდებები. 1944 წ. კი ეს ყველაფერი ერთბაშად მოიკვეთა. და, აი, უკვე 45 წელია ამ ადგილებს აღარავინ უწოდებს თავის სახელს.

მე 1984 წ. ვიყავი სამშობლოში და ყველაფერმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. აგარიდან რომ გახვალ, მოჩანს მაღალი მთა, მას რუგეთი ჰქვია. ესეც კი არავინ იცოდა იქ - მე ვეკითხები მათ ამის შესახებ. ვიკითხე სკოლის ზარის შესახებ. აღარ არის, დაკარგულია. არადა, ეს იყო ეკლესიის ზარი. ბავშვობაში ძლიერძლივობით დავათმობინეთ ბაბუა ომარ ფოცხვერაძეს. არ უნდოდა მოცემა, ამბობდა, რომ მისმა პაპამ ჩამოხსნა ეს ზარები სამრეკლოდან, თურქებს დაუმალა, ერთი დიდი იყო, მეორე პატარა. პატარა ჩვენ წამოვიღეთ და სკოლის ზარად დავეიდეთ - ეს იყო 1938 წ., როცა ჩვენთან სკოლა გახსნეს.

...როცა სამშობლოში ვცხოვრობდით, ჩვენთან სიტყვა "თურქს" არ ხმარობდნენ. ჩვენ თავს მაჰმადიანებს ვუწოდებდით. უზბეკები "კაკაკაზ"-ს (კაკასიელი - კბ.) გვიწოდებდნენ, ვისაც პასპორტი ჰქონდა, მასში ჩაწერილი იყო ეროვნება "აზერბაიჯანელი". ნამდვილი თურქები თავის ისტორიულ სამშობლოდ შუააზიას თვლიან, მეორე სამშობლოდ - ეზლანდელ თურქეთს. ჩვენ კი სამშობლოდ საქართველოს ვთვლით. ბევრს ახსოვს, ძველები ჩვენში როგორ ლოცულობდნენ ალაჰს ქართულ ენაზე.

ახლა სოფლების ქართული დასახელებები ვიკითხოთ. მინდვრები, მდელოები, მთები, ხეობები, კლდეები, ბილიკები - ყოველ მათგანს ქართული სახელწოდება აქვს. ახლა იქ სხვა ადამიანები ცხოვრობენ - ჩვენს შემდეგ მოსულები. მათ არ იციან ყოველივე ეს. ამის სწავლება შეუძლებელია. იგი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. ჩვენმა პატარა ბავშვებმაც კი იცოდნენ რომელ ადგილს რა სახელი ერქვა.

ჩვენ ახლომახლო სოფლებში არ ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველები, მაგრამ ჩვენი სოფლის - საყუნეთის - ცენტრში იდგა მართლმადიდებლური ეკლესია. ვისთვის ააგეს ის? მას უწოდებდნენ: "ვიორგიწმინდის ეკლესიას". ჩვენმა წინაპრებმა არ დაანებეს თურქებს დაენგრიათ

ეს ეკლესია. მაისში, აღდგომის დროს ამ ეკლესიაში სალოცავად მოდიოდნენ ადამიანები ბორჯომის რ-ის სოფლებიდან. მათთან ერთად ჩვენი სოფლის მთელი მოსახლეობა დროს ატარებდა ეკლესიის გარშემო.

რამდენი ჩამარხული შესქელებული ღვინით სავსე ქვევრი ამოგვითხრია მიწიდან. მაგალითად აწყურში. კარგად მახსოვს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენთან შესხეთში განვითარებული იყო მევენახეობა. ვინ და რატომ გადააშენა ვაზი?

ჩვენმა სალაპარაკო ენამ დღემდე შემოინახა ქართული სიტყვები. მე ვაგროვებ იმ სიტყვების ლექსიკონს, რომელიც ხმარებაში გვაქვს და არაფერი აქვს საერთო თურქულ ენასთან: "ხინკალ", "თავშალ", "კურკა", "ლაყე", "ცურ"... საიდან გვაქვს ქართული გვარები? მაჰმადიანური რჯულის არცერთი ხალხი არ ატარებს გვარებს, მათთვის პაპის სახელიდან იქმნება გვარი, ჩვენ კი, ყველას გვაქვს გვარი.

რა თამაშებით ვერთობოდით ბავშვობისას? ქამრები, ფურნები, დაქარი, ქვა გადაბრუნდა, ყოჩი და ა.შ. ესენი ხომ ქართული თამაშობებია.

ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება...

მე მტკიცედ მწამს, რომ მესხები ქართველებია. ეს ფაქტია, ეს ისტორიაა. ეს ჩვენ ვართ - ცოცხალი მოწმეები!"

(23.03.89. წერილი ესენტუკიდან)

ინფორმაცია ნუსხა

1996 წ. მარტი - ივნისი

1. ქვთარაძე გიორგი - არქეოლოგი, ისტორიის მეცნ. დოქტორი, ქ. თბილისი
2. ლაფაჩი ციური - ახალციხის ისტორ. მუზეუმის დირექტორი, ისტ. მეცნ. კანდ.
3. მესხიშვილი ცირა - ახალციხის ისტორიული მუზეუმის მეცნ. თანამშ.
4. ხოსიტაშვილი სერგო - პენსიონერი, ახალციხის ისტორ. მუზეუმის ყოფილი დირექტორი, ისტ. მეცნ. კანდ.
5. მედულაშვილი ზეზვა - ლინგვისტი-აღმოსავლეთმცოდნე, ქ. თბილისი
6. ბერაძე ციალა - საქართველოს ადიგენის რ-ის მმანის განყ. გამგე

ქ. თბილისში გამომკითხული მსხმები

7. აშრაფოვი ისა - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. სამყურეს მკვიდრი
8. მამედოვი რასული - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. წახანის მკვიდრი
9. ხასანოვი იასინი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ტობას მკვიდრი
10. რასულოვი ქარიმი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. წახანის მკვიდრი
11. მავლიუდოვი რაშიდი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. სვირის მკვიდრი
12. გალუსტოვი ბაზში - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. საყუნეთის მკვიდრი (წერილი)
13. მამედოვი ნურალი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. უწწას მკვიდრი (წერილი)

საქართველოს საშურის რ-ის სოფ. ცხრაშხაში გამომკითხული მსხმები

14. მეტონიძე ბადრი - საქართველოს ასპინძის რ-ის სოფ. ქვედა ოშორას მკვიდრი
15. ყულაევი ფადლი - საქართველოს ასპინძის რ-ის სოფ. ქვედა ოშორას მკვიდრი
16. ზუბანოვა მინაიათი - საქართველოს ასპინძის რ-ის მკვიდრი
17. ჯანაევა ფაზლიათ - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. აწყურის მკვიდრი

საქართველოს სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარში გამომკითხული მსხმები

18. იბრაგიმოვი სეიფულა - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ქიქინეთის მკვიდრი
19. მამედოვი მიზამი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ჩურჩუტოს მკვიდრი
20. შადიმანოვა ფიქრია - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. კორტოხის მკვიდრი
21. მუსტაფაევი ნურადინი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ჩურჩუტოს მკვიდრი
22. ფახლევეან-ოღლი ყარა - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ვარხნის მკვიდრი
23. ეიუბოვი ზაქარია - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ქიქინეთის მკვიდრი
24. იბრაგიმოვა შამზათი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ყურათუბნის მკვიდრი
25. აბიბოვი ისა - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. პატარა სმადას მკვიდრი

26. ქინდიევი მარვა - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. საყუნეთის მკვიდრი
27. სულთანოვა ნაზირა - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. საყუნეთის მკვიდრი
28. ქამლოვი ომარი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ვარხნის მკვიდრი
29. ბექაძე ჯალილი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
30. ქინდიევი ჰამიდი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. საყუნეთის მკვიდრი
31. მამედოვი მირზამადინი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ჩურჩუტოს მკვიდრი

საქართველოს ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაპირალში გამომკითხული მსხმები

32. ხოზრევანიძე ისმიხანი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. კეხოვანის მკვიდრი
33. მოლიძე მალიგი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
34. ყურაძე ალიხანი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. აბასთუმნის მკვიდრი
35. ლაზიშვილი ხედიე - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ზედანის მკვიდრი
36. ბერიძე ფალარა - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. მულარეთის მკვიდრი
37. კაციშვილი გიულბატონი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ფხეროს მკვიდრი
38. ხოსაძე ნური - საქართველოს ასპინძის რ-ის სოფ. ზედა ოშორას მკვიდრი
39. ცაცანიძე ზაქირი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ლაღვის მკვიდრი
40. ბექაძე რუსტემი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
41. ბექაძე სულთანი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. საყუნეთის მკვიდრი
42. ბექაძე შახმურადი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
43. იორდანიძე ხალიდა - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი

აჯმრბაიჯანში გამომკითხული მსხმები

44. აშრაფოვი ანვარი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. სამყურეს მკვიდრი
45. ახმედლი ნათელა - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ლელოვანის მკვიდრი
46. უსმანოვი მფიზი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. არზნეს მკვიდრი
47. ტაშტანოვი ხალიდი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ფლატეს მკვიდრი
48. გულიევი შაბანი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ვარხნის მკვიდრი
49. ზაუტაძე შახინი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ბოგას მკვიდრი

მოლგობრადის ოლქში გამომკითხული მსხმები

50. აბიბოვი დურსუნი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. პატარა სმადას მკვიდრი
51. უსტა ხალილ-ოღლი ნიდაიმი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. პატარა სმადას მკვიდრი
52. აზიზოვი რიზმანი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ჯაყისმანის მკვიდრი
53. ჭილაძე მეზრი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. ჭელას მკვიდრი
54. ალიევი ნიაზი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ჯაყისმანის მკვიდრი
55. ზურიშანოვი საიდი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. საირმიას მკვიდრი
56. რიზმანოვი ჯუმალი - საქართველოს ახალციხის რ-ის სოფ. ჯაყისმანის მკვიდრი
57. აბიბოვი მავლუდი - საქართველოს ადიგენის რ-ის სოფ. პატარა სმადას მკვიდრი

ლიტერატურა

1. ი. ჭავჭავაძე. "ოსმალის საქართველო", რჩ. ნაწ. კრებული, ტ. II, თბილისი, 1941 წ., გვ. 309-312
2. ლ. ბარათაშვილი. "სოფელ უდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა", 1943-1944 წ.წ. (ლ. ბარათაშვილის გამოუქვეყნებელი არქივიდან)
3. ლ. ბარათაშვილი, კ. ბარათაშვილი. "ჩვენ მესხები ვართ", "განთიადი" №№5,6, 1988 წ., №1, 1989 წ.
4. გ. ბოჭორიძე. "მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში", თბილისი, "მეცნიერება", 1992 წ.
5. ი. მაისურაძე. "ქართული გვარები და სახელები", თბილისი, 1990 წ.
6. ი. მაისურაძე. "ახალციხისა და ასპინძის რაიონების სოფლების 1938-1939 წ.წ. აღწერა" (ხელნაწერი, ახალციხის ისტორიული მუზეუმი)
7. ს. ხოსიტაშვილი. "1944 წლამდე სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა გვარების სიები", (ხელნაწერი, 1976, ახალციხის ისტორიული მუზეუმი)
8. ჟურნალი "საბჭოთა სამართალი", 1989 წ. №7, გვ. 61-62

საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი

1. ახალციხის მაზრის ძველი კამერალური აღწერა, 1839 წ., (რუსულ ენაზე)
2. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის კამერალური აღწერა, 1842 წ., (რუსულ ენაზე)
3. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სოფლების კამერალური აღწერა, 1850 წ., (რუსულ ენაზე)
4. ახალციხის მაზრის სოფლების კამერალური აღწერა, 1860 წ., (რუსულ ენაზე)
5. ახალციხის მაზრის კამერალური აღწერა, 1863 წ., (რუსულ ენაზე)
6. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სოფლების კამერალური აღწერა, 1873 წ., (რუსულ ენაზე)
7. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სოფლების ოჯახების სიები, 1886 წ., (რუსულ ენაზე)
8. სახაზინო მიწების მფლობელ ალათა და ბეგების სიები, 1847 წ., (რუსულ ენაზე)
9. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის მიწისმფლობელთა სიები, 1887 წ., (რუსულ ენაზე)
10. ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის კამერალური აღწერის წარმოების წესები, 1872 წ., (რუსულ ენაზე)
11. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის ჟურნალი და ინსტრუქცია ოჯახური სიების შესახებ, 1886 წ. (რუსულ ენაზე)

12. თანდართული ამონაწერების მიხედვით 1847-1854 წ.წ. კამერალური აღწერების გადამოწმების და ყველა გამორჩენილი ადგილის შესახებ (რუსულ ენაზე)
13. ახალციხის საერო განყოფილების საერო შუამავლის მიერ მოწოდებული ოქმი ახალციხის მაზრის კლდის სასოფლო თემის 20 სოფლისა, 1886 წ. 4 ოქტომბერი, (რუსულ ენაზე)
14. ახალციხის მაზრის 2%-იანი მოსაკრებელის გადამხდელთა ანბანური სია, 1886 წ. (რუსულ ენაზე)
15. ხერთვისის უბანს მიკუთვნებული ხაზინის გლეხებისა და სოფლის მამასახლისების შესახებ, 1844 წ. (რუსულ ენაზე)
16. ახალციხის მაზრის აწყურის უბნის მხვნელ-მთესველთა სია, 1847 წ. (რუსულ ენაზე)
17. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის კერძო საწარმოებიდან მიღებული ამონაგებიდან პროცენტულობისა და განაწესების მოსაკრებლების გადამხდელთა სია, 1899 წ. (რუსულ ენაზე)
18. აბასთუმნის სახლის მფლობელთა სია, 1916-1917 წ.წ. (რუსულ ენაზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივის დოკუმენტები

1. მოხსენებითი ბარათი ახალციხის მაზრის პარტორგანიზაციების სოციალური და ეროვნული შემადგელობის შესახებ 1929 წ. 1 ივლისისათვის (რუსულ ენაზე)
2. კომუნისტი რიზა ანდრიან ოღლი ხმალიძის პირადი საქმე, 1929 წ. (რუსულ ენაზე)
3. ახალციხის სოფლის საბჭოს ღარიბთა ჯგუფის კონფერენცია, 1930 წ. (რუსულ ენაზე)
4. სიები და მონაცემები პარტორგანიზაციების მიხედვით, 1935 წ. (რუსულ ენაზე)
5. თანამგრძობელთა ჯგუფი, 1936 წ. (რუსულ ენაზე)
6. პარტიული დოკუმენტების შეცვლა, 1936 წ. (რუსულ ენაზე)

სარჩევი

| | |
|--|----|
| რელაქტორისაგან | 3 |
| წინასიტყვაობა | 4 |
| მოკლე ისტორიული ცნობები | 6 |
| აღწერებისა და სხვა წყაროების შესახებ | 7 |
| ცხრილები | 18 |
| სამცხის რუკა | 32 |
| ბარათაშვილების საგვარეულო გენეალოგია | 45 |
| ბარათაშვილების საგვარეულო გენეალოგიის სქემა | 46 |
| სოფ. უდის მაჰმადიანი მოსახლეობის ქართული გვარები ... | 49 |
| ცოცხალი მოწმეები | 51 |
| ინფორმანტთა ნუსხა | 60 |
| ლიტერატურა | 62 |